



2-2548/19  
19-02-2019

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო  
დეპარტამენტის უფროსს  
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ასლი: საქართველოს პარლამენტის ბიუროს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 44-ე მუხლის საფუძველზე გიგზავნით  
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის 2018 წლის საქმიანობის ანგარიშს.

დანართი: 46 გვერდი

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე  
სოფიო ქაცარავა

## საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის 2018 საქმიანობის ანგარიში

## სარჩევი

შესავალი -----	3გვ
I) კომიტეტის მიერ განხილული კანონპროექტები-----	4 გვ.
II) რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულებები, შეთანხმებები, მემორანდუმები, რეზოლუციები და დადგენილების პროექტები -----	7გვ.
III) საზედამხედველო საქმიანობა -----	11გვ.
IV) საპარლამენტო დიპლომატია-----	13გვ
V) კომიტეტის თავმჯდომარის და მოადგილეების ვიზიტები საზღვარგარეთ-----	21გვ.
VI) კომიტეტის მასპინძლობით პარტნიორი ქვეყნების დელეგაციების ვიზიტები საქართველოში-----	38 გვ.
VII) სტრატეგიული კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა -----	40 გვ.
VIII) კომიტეტის საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობა-----	46 გვ.

## შესავალი

საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცება, დეოკუპაცია და კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარება, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაცია, საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავება, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის გაძლიერება, საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობის პროცესში საქართველოს აქტიური ჩართულობა, ქმედითი და დაბალანსებული რეგიონალური პოლიტიკის განხორციელება, ტრანსნაციონალურ პროექტებში ქვეყნის ჩართულობა, ეკონომიკური დიპლომატია, დიასპორებთან ურთიერთობა და საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა, - ჩვენი სახელმწიფოს ძირითად საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრა პარლამენტს ეკისრება. შესაბამისად, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი თავისი პროფილიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა საკანონმდებლო და საზედამხედველო საქმიანობის განხორციელების მიმართულებით და საპარლამენტო კავშირების გაძლიერებისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ამოცანების მიღწევის მიზნით აქტიურად იყენებდა საპარლამენტო დიპლომატიას. საზედამხედველო საქმიანობის განხორციელების და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა აქტუალური საკითხის განსახილველად, სისტემატურად იმართებოდა საკომიტეტო სხდომები და მოსმენები.

საკანონმდებლო საქმიანობის გარდა, კომიტეტის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა შეხვედრებში როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ. საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და განხორციელდა საქართველოსთან პარტნიორი ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციების და საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფების ვიზიტები საქართველოში, ასევე, კომიტეტის წევრებმა გამართეს არაერთი ოფიციალური ვიზიტი პარტნიორ ქვეყნებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა განახორციელა საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის რეგლამენტით და კომიტეტის დებულებით გათვალისწინებული შემდეგი საქმიანობა:

## I: კომიტეტის მიერ განხილული კანონპროექტები

- 1) საქართველოს კანონის პროექტი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“.
- 2) საქართველოს კანონის პროექტები: „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
- 3) საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
- 4) საქართველოს კანონის პროექტები: „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“, და „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“
- 5) საქართველოს კანონის პროექტები: „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ“, საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს კანონში „თავისუფლების ქარტია“ ცვლილების შეტანის შესახებ“, „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „წიადის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მობილიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების

შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მოხალისეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სახელმწი გერბის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- 6) საქართველოს კანონის პროექტები „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
- 7) „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
- 8) „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
- 9) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი: „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის რეგლამენტი“, საქართველოს კანონის პროექტები: „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ოპერატიულ ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სამხედრო პოლიციის

შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

- 10) საქართველოს კანონის პროექტი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
- 11) საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე
- 12) საქართველოს კანონის პროექტები „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

## II: რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულებები, შეთანხმებები, მემორანდუმები, რეზოლუციები და კონვენციები

- 1) საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის (აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტის დამატებითი დაფინანსება)“
- 2) სასესხო ხელშეკრულება: საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის (აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი)“
- 3) „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 5)“
- 4) „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“
- 5) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სლოვენის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“
- 6) „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი - კლიმატური პირობებისადმი მდგრადობის გაუმჯობესების შესახებ.)“
- 7) შეთანხმება „საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“
- 8) „TRIPS („ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“) შეთანხმების ცვლილების ოქმი“
- 9) „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ლოგისტიკის დარგში განსახორციელებელი ოქმი“ (2013) და „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ლოგისტიკის დარგში განსახორციელებელი ოქმი“
- 10) საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამხედრო ფინანსური თანამშრომლობის შეთანხმება“
- 11) „2017 წლის 13 ივლისით დათარიღებული „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ბათუმის ავტობუსების პროექტი)“
- 12) „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2015 წლის 22 დეკემბრით დათარიღებული განვითარების მიზნის შესახებ საგრანტო შეთანხმების („დემოკრატიული კონტროლი და ბალანსი და ანგარიშვალდებული მმართველობისთვის)“ ცვლილება ნომერი სამი“
- 13) „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2016 წლის 11 იანვრით დათარიღებული განვითარების მიზნის შესახებ საგრანტო შეთანხმების (მზარდად სტაბილური, ინტეგრირებული და ჯანსაღი საზოგადოებისთვის)“ ცვლილება ნომერი სამი“
- 14) „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2015 წლის 22 დეკემბრით დათარიღებული განვითარების მიზნის შესახებ საგრანტო შეთანხმების (ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის)“ ცვლილება ნომერი სამი“.



- 15) „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ 2010 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულების (ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერისათვის)“ ცვლილება ნომერი შვიდი“
- 16) „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ 2010 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულების (ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის)“ ცვლილება ნომერი ექვსი“
- 17) შეთანხმება „სატრანზიტო და სატრანსპორტო თანამშრომლობის შესახებ (ლაპის ლაზულის მარშრუტის შეთანხმება)“
- 18) „2011 წლის 10 მაისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 1)“ N5 ცვლილება“
- 19) შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის მხარდაჭერის მიზნით, ფსიქიატრიული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტის განხორციელების შესახებ“
- 20) შეთანხმება „საქართველოს და ევროპის საბჭოს განვითარების ბანკს შორის ჩარჩო სასესხო შეთანხმების (თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურობის გაზრდა)“ ცვლილება №1“
- 21) შეთანხმება „საქართველოსა და საუდის არაბეთის სამეფოს შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“
- 22) შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური თანამშრომლობის შესახებ (2017)“
- 23) შეთანხმება „საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის (საქართველო - აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი - A)“ და „საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის (საქართველო - აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი - B)“ ფინანსურ ხელშეკრულებაში №2 ცვლილების შეტანის შესახებ“
- 24) საქართველოს მთავრობის მიერ, საქართველოს პარლამენტისთვის „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმის“, სარატიფიკაციოდ წარმოდგენის თაობაზე.
- 25) „საბუნკერო საწვავით დაბინძურების შედეგად გამოწვეული ზარალის გამო წარმოშობილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასა და საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“
- 26) „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე.
- 27) ჩარჩო შეთანხმება „საქართველოსა და სკანდინავიის საინვესტიციო ბანკს შორის“
- 28) საგრანტო შეთანხმება „საქართველოს (მიმღები) და სკანდინავიურ გარემოს საფინანსო კორპორაციას შორის (როგორც E5P დაფინანსებული პროექტის განმახორციელებელი სააგენტო „საქართველოში საჯარო შენობების

- ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის გამოყენება“)
- 29) .სასესხო შეთანხმება „საქართველოს და სკანდინავიურ გარემოს საფინანსო კორპორაციას შორის სასესხო შეთანხმება (საქართველოში საჯარო შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის გამოყენება“)
  - 30) შეთანხმება „იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის (ფაზა 2) თაობაზე“ ნოტების გაცვლის გზით დადებული.“
  - 31) სასესხო ხელშეკრულება „იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს შორის აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტი (ფაზა 2)“
  - 32) „ევროკავშირსა (როგორც დონორსა) და საქართველოს (როგორც ბენეფიციარს), საქართველოს ეროვნულ ბანკს (როგორც ბენეფიციარის ფინანსურ აგენტს) შორის ურთიერთგაგების მემორანდუმისა (მაკროფინანსური დახმარება საქართველოსათვის 45 მილიონ ევრომდე)“ და „ევროკავშირსა (როგორც სესხის გამცემსა) და საქართველოს (როგორც სესხის მიმღებს), საქართველოს ეროვნულ ბანკს (როგორც სესხის მიმღების ფინანსურ აგენტს) შორის სასესხო შეთანხმება (მაკროფინანსური დახმარება საქართველოსათვის)“
  - 33) .კონვენცია „საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილ „დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით საგადასახადო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ“
  - 34) .სასესხო ხელშეკრულება „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის (აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, საქართველო)“
  - 35) მოსმენა-წინადადება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ თარგმანის კორექტირების შესახებ;
  - 36) სასესხო შეთანხმება „2014 წლის 9 ივლისის „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის (შედასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი)“ პირველი ცვლილება“
  - 37) საკრედიტო შეთანხმება „2015 წლის 8 დეკემბრის „საქართველოსა და SOCIETE GENERALE-ს შორის „COFACE ხაზის შეთანხმება B-ის“ (MBDA France ნასყიდობის ხელშეკრულება)“ ცვლილების N1“
  - 38) .საკრედიტო შეთანხმება „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის“
  - 39) .სასესხო შეთანხმება „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის (პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი)“
  - 40) .სასესხო შეთანხმება „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (ჩვეულებრივი ოპერაციები) (აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (ხევი-უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტი)“

- 41) წერილ-შეთანხმება „2010 წლის 5 აგვისტოს „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 1)“ N4 ცვლილების“
- 42) წერილ-შეთანხმება „2012 წლის 24 ივლისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სესხის ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2)“ N3 ცვლილების“
- 43) წერილ-შეთანხმება „2012 წლის 24 ივლისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სესხის ხელშეკრულების (განსაკუთრებული ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2)“ N4;
- 44) წერილ-შეთანხმება „2013 წლის 19 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 3)“ N1 ცვლილების“
- 45) „საქართველო - ჰონგ კონგ, ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმება;
- 46) წერილ-შეთანხმება „2016 წლის 11 თებერვლის „საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის ფინანსური ხელშეკრულების (საქართველოს ურბანული რეკონსტრუქცია და განვითარება)“ N1 ცვლილების“
- 47) საკრედიტო შეთანხმება „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის (სოციალური კეთილდღეობის პროგრამა)“

### **მემორანდუმები**

- 1) მემორანდუმი “საქართველოს მთავრობასა და რუმინეთის მთავრობას შორის მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ერთობლივი უზრუნველყოფის შესახებ“
- 2) მემორანდუმი „აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას, საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“
- 3) მემორანდუმი „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე“.

### **რეზოლუციები**

- 1) საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა და “ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ შესახებ.

### **დადგენილების პროექტები**

- 1) საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი: საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 251-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენილი „საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკის საპარლამენტო ასამბლეის შექმნის შესახებ“

- 2) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ“
- 3) საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი: „საქართველოს პარლამენტის, მოლდოვის რესპუბლიკის პარლამენტისა და უკრაინის ვერხოვნა რადას საპარლამენტო ასამბლეის შექმნაში მონაწილეობის თაობაზე“.

### III: საზედამხედველო საქმიანობა

#### მოსმენები

1. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობის, მიმდინარე საგარეო პოლიტიკური საკითხებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მოსმენა. მომხსენებელი: საგარეო საქმეთა მინისტრი **მიხეილ ჯანელიძე**;
2. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის **ვახტანგ მახარობლიშვილის** და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის **ნინო ჯავახიძის** მოსმენა ვიზა-ლიბერალიზაციის თემასთან დაკავშირებით.
3. საქართველოს დაზვერვის სამსახურის წარმომადგენლების საინფორმაციო ბრიფინგი. **(დახურული)**
4. საქართველოს მიერ გაფორმებული საერთაშორისო, სასესხო და საგრანტო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებისა და მათი მსვლელობის შესახებ: მომხსენებელი ფინანსთა მინისტრის მოადგილე **გიორგი კაკაურიძე და ინფრასტრუქტურის და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები**.
5. საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკის კონცეფციის პრეზენტაცია. საგარეო საქმეთა სამინისტროში რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი ახალი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის მოსმენა: მომხსენებელი საგარეო საქმეთა მინისტრი **მიხეილ ჯანელიძე**;
6. საქართველოს არადიარების პოლიტიკა: მომხსენებელი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **დავით დონდუა (დახურული)**
7. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ 2017 წლის ანგარიში. მომხსენებელი: იუსტიციის მინისტრის მოადგილე **გოჩა ლორთქიფანიძე**.
8. საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მამუკა ბახტაძის მიერ პარლამენტში ნდობის მისაღებად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამის (2018-2020) „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ განხილვის თაობაზე. საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატის **დავით ზალკალიანის** მოსმენა;
9. საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მამუკა ბახტაძის მიერ პარლამენტში ნდობის მისაღებად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამის (2018-2020) „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ განხილვის თაობაზე. საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატის **დავით ზალკალიანის** მოსმენა (მეორედ);

10. საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში. მომხსენებელი ფინანსთა მინისტრის მოადგილე **გიორგი კაკაურიძე**;
11. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიში. მომხსენებელი ფინანსთა მინისტრის მოადგილე **გიორგი კაკაურიძე**;
12. „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. მომხსენებელი ფინანსთა მინისტრის მოადგილე **გიორგი კაკაურიძე**;
13. საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის ანგარიში. მომხსენებელი ფინანსთა მინისტრის მოადგილე **გიორგი კაკაურიძე**.
14. „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. მომხსენებელი ფინანსთა მინისტრის მოადგილე **გიორგი კაკაურიძე**.

### **საქართველოს ელჩებთან შეხვედრები**

- 1) **06.01.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა შვეიცარიაში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან დავით ჯალაღანიასთან.** განხილული საკითხები: დიპლომატიური მისიის ახალი დღის წესრიგი, შვეიცარიასთან არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატის გააქტიურების მნიშვნელობა, შვეიცარია-საქართველოს საპარლამენტო ურთიერთობების გააქტიურება და მეგობრობის ჯგუფების როლი ამ პროცესში.
- 2) **06.01.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა ჩინეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან დავით აფციაურთან.** განხილული საკითხები: ჩინეთში სოფიო ქაცარავას გამართული ვიზიტების შედეგები, საქართველო-ჩინეთის ორმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგი, საქართველო-ჩინეთს შორის რეგიონული თანამშრომლობის შესაძლებლობები, „ერთი სარტყელი - ერთი გზის“ ინიციატივა და საქართველოსა და ჩინეთს შორის არსებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება.
- 3) **20.01.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა ნორვეგიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან მაია ყიფშიძესთან.** განხილული საკითხები: ნორვეგია-საქართველოს შორის არსებული მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხები, პროექტები და მიზნები, ნორდიკულ ბალტიური ქვეყნების NB8 ფორმატის მნიშვნელობა, დიპლომატიური მისიის დღის წესრიგი და სამომავლო გეგმები.
- 4) **27.01.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა გერმანიაში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ელგუჯა ხოკრიშვილთან.** განხილული საკითხები: გერმანია-საქართველოს შორის არსებული საპარლამენტო ურთიერთობა; პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული კავშირები და პარლამენტის როლი ამ მიმართულებით, მიმდინარე და დაგეგმილი ერთობლივი პროექტები და ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის დინამიკა,
- 5) **05.03.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა ესპანეთში ახლდადდანიშნულ, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან ილია გიორგაძესთან.** განხილული საკითხები: დიპლომატიური მისიის დღის წესრიგი, საპარლამენტო თანამშრომლობის გაძლიერება, ორმხრივი ურთიერთობების პრიორიტეტული მიმართულებები და მათი გაღრმავების პერსპექტივები.

#### IV: საპარლამენტო დიპლომატია

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა საპარლამენტო დიპლომატიის აქტიური გამოყენება. ამ კუთხით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომიტეტი აქტიურად მუშაობდა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, ახორციელებდა ვიზიტებს პარტნიორ ქვეყნებში, მასპინძლობდა დელეგაციებს და აქტიურად ხვდებოდა პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. შეხვედრებზე განიხილებოდა ისეთი თემები, როგორც არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზები, საპარლამენტო კავშირების გაძლიერება, საზედამხედველო საქმიანობის განვითარება, საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზება, თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საპარლამენტო ფორმატებში, თავდაცვა და უსაფრთხოება, განათლება, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, კულტურა, ხალხთაშორისი კავშირები და სხვა.

##### ა) ურთიერთობა დიპლომატიურ კორპუსთან

*15.01.2018 - სოფიო ქაცარავს გაცნობითი შეხვედრა ახლადდანიშნულ თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში ფატმა სერენ იაზგანთან.* განხილული საკითხები: ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობასა და ურთიერთობის ახალი დღის წესრიგის ფარგლებში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მიმართულებით მუშაობის გააქტიურების პერსპექტივები, რეგიონში არსებული უსაფრთხოების, ეკონომიკური ვითარება და ამ კუთხით თანამშრომლობის გააქტიურება.

*29.01.2018 - სოფიო ქაცარავს შეხვედრა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან ერიკ ჰოგთან.* განხილული საკითხები: მისიის როლი და მნიშვნელობა, საოკუპაციო ხაზის მონიტორინგი და არსებული გამოწვევები, მისიის კონტრიბუცია ევროკავშირის წევრი ქვეყნების მონაწილეობით, საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და ევროატლანტიკური მისწრაფებები.

*12.03.2018 - სოფიო ქაცარავს და კომიტეტის წევრების სამუშაო შეხვედრა აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში იან კელისთან.* შეხვედრაზე ელჩმა და კომიტეტის წევრებმა განიხილეს აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა, საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის და სამშვიდობო პოლიტიკის საკითხები, ასევე საგარეო პოლიტიკის მიზნები და ქვეყნის ევროატლანტიკური მისწრაფება. ელჩმა ისაუბრა საქართველოში გატარებულ რეფორმებზე და აღნიშნა დემოკრატიის კონსოლიდაციის გზაზე საქართველოს მიღწეული პროგრესი.

*13.04.2018 - სოფიო ქაცარავს შეხვედრა აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან ელიზაბეტ რუდთან.* შეხვედრაზე საუბარი შეეხო აშშ-საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობას და ქვეყნებს შორის ურთიერთობების დინამიკას. ასევე, კომიტეტის მიერ დაგეგმილ სტრატეგიული კომუნიკაციების კონფერენციას.

*18.04.2018 - სოფიო ქაცარავს შეხვედრა ბულგარეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში დესისლავა ივანოვასთან.* განხილული საკითხები: ბულგარეთის ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტობის ფარგლებში, ბულგარეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებული სამუშაო და სამომავლო გეგმები, ბულგარეთის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტის დეტალები.

*10.05.2018 - სოფიო ქაცარავს და კომიტეტის წევრების შეხვედრა რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში რადუ ლივიუსთან.* განხილული საკითხები:

რეგიონული და სატრანსპორტო კავშირების გაძლიერება, თბილისი-ბუქარესტის დამშობილების საკითხი და 2019 წლის ევროკავშირის საბჭოს რუმინეთის თავმჯდომარეობა.

**03.09.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა ლატვიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში ინგრიდა ლევრენცესთან.** განხილული საკითხები: ორმხრივი ურთიერთობების გაძლიერების მიმართულებები, სტრატეგიული კომუნიკაციები, აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის დაფუძნების მნიშვნელობა.

**25.09.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა შვედეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში ულრიკ ტიდესტრომთან.** განხილული საკითხები: შვედეთ-საქართველოს ურთიერთობები, NB8-ის წევრი ქვეყნების საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება და ახალი ფორმატის შექმნა.

**26.10.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა ავსტრალიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში მარკ იენს ბრაუნთან.** განხილული საკითხები: საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის პრიორიტეტები და ამოცანები, საპარლამენტო დიპლომატია, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავება და სამომავლო ორმხრივი ვიზიტები საქართველო-ავსტრალიას შორის.

**30.10.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა ფინეთის და შვედეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებთან საქართველოში, არია მაკონენტან და ულრიკ თიდერსტრომთან.** განხილული საკითხები: ნორდიკულ-ბალტიური რვიანის ფორმატში წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაძლიერება, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დღის წესრიგი, სამოქმედო გეგმა და სტრატეგია, ასევე, NB8-ის ფორმატში საქართველოს ჩართულობის შესაძლებლობები.

**03.12.2018 - სოფიო ქაცარავას გაცნობითი შეხვედრა ევროკავშირის ახლადდანიშნულ ელჩთან საქართველოში კარლ ჰარცელთან.** განხილული საკითხები: საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თანამშრომლობის დღის წესრიგი, ევროკავშირთან თანამშრომლობის მიმართულებები, სტრატეგიული კომუნიკაციები და საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა პოლიტიკურ პროცესებში.

## **ბ) შეხვედრები დელეგაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და პოლიტიკოსებთან**

- 1) **29.01.2018 - პარლამენტის თავმჯდომარის, სოფიო ქაცარავას და სხვა პარლამენტარების შეხვედრა ლიტვის პრემიერ-მინისტრთან სალომუს სკვერნელისსთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ლიტვა-საქართველოს ურთიერთობების მაღალი დინამიკა და საპარლამენტო თანამშრომლობის გაძლიერების, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხები.
- 2) **12.02.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა სომხეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან არმენ აშოტიანთან.** შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს

სამეზობლო პოლიტიკის პრიორიტეტებზე, საპარლამენტო კავშირების გაძლიერებაზე, ასევე, საპარლამენტო ასამბლეების ფარგლებში თანამშრომლობის გააქტიურებაზე.

- 3) **12.02.2018 - პარლამენტის თავმჯდომარის, სოფიო ქაცარავას და სხვა პარლამენტის წევრების შეხვედრა ევროპარლამენტის წევრებთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, ევროინტეგრაციის გზაზე გატარებული რეფორმები და ასოციაციის შეთანხმების განხორციელების პროცესი.
- 4) **13.03.2018 - სოფიო ქაცარავას და მამუკა მდინარაძის შეხვედრა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის ოფისის, დასავლეთის კვლევითი ჯგუფის ანალიტიკოსთან ალან პარფიტთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის საქმიანობასა და პრიორიტეტებზე, მის როლზე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და სახედამხედველო საქმიანობაზე, საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის გზებზე.
- 5) **19.03.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა კვიპროსის რესპუბლიკის წარმომადგენელთა პალატის პრეზიდენტთან დემეტრის სილურისისთან.** შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს ორმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებაზე როგორც საპარლამენტო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე, ხალხთაშორისი კავშირების გაძლიერებაზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების და კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე.
- 6) **28.03.2018 - სოფიო ქაცარავას და კომიტეტის წევრების შეხვედრა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე ვერაზიული დეპარტამენტის დირექტორთან რაფაელ ჰარპაზასთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები, IT ტექნოლოგიების განვითარების, განათლებისა და კულტურის თვალსაზრისით, ასევე, ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის მჭიდრო თანამშრომლობის საკითხები.
- 7) **11.04.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა შვედეთის პარლამენტის ვიცესპიკერთან იზაბელ დინგიზიანთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები, გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების და ქალთა აქტიური მონაწილეობის საკითხები პოლიტიკასა და გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე, საპარლამენტო თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობები და მიმართულებები;
- 8) **13.04.2018 - სოფიო ქაცარავას და კომიტეტის წევრების შეხვედრა ბაჰრეინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან აბდულა ბინ აჰმედ ალ-ხალიფასთან და დელეგაციის წევრებთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ქვეყანაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების მნიშვნელობაზე, სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობაზე და ამ პროცესში პარლამენტის როლზე. ასევე, საუბარი შეეხო საქართველოს საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს ხარისხსა და მათალ სტანდარტებს.
- 9) **13.04.2018 - სოფიო ქაცარავას და პარლამენტის წევრების შეხვედრა აშშ-ს თავდაცვის კოლეჯის დელეგაციასთან.** შეხვედრაზე უსაფრთხოებისა და თავდაცვის, მშვიდობისა და სტაბილურობის საკითხები, საქართველოს ეროვნული ინტერესები, პრიორიტეტები და გამოწვევები. ამ სფეროებში გატარებული რეფორმები და ქვეყანაში მიმდინარე პროგრესი.
- 10) **05.05.2018 - პარლამენტის თავმჯდომარის და სოფიო ქაცარავას შეხვედრა აშშ-ს კონგრესმენტთა დელეგაციასთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის შორის მჭიდრო სტრატეგიული პარტნიორობის, ასევე პოლიტიკური, ეკონომიკური,



კულტურული და ხალხთა შორის ურთიერთობების საკითხები. საუბარი ასევე, შეეხო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტებს და სამშვიდობო ინიციატივის საკითხებს.

- 11) **07.05.2018 - სოფიო ქაგარავას და კომიტეტის წევრების შეხვედრა მაროკოს პარლამენტის ვიცე-სპიკერთან და საპარლამენტო დელეგაციასთან.** მხარეებმა განიხილეს ღია მმართველობა პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობის გაძლიერების და ამ მიმართულებით საქართველოსგან გამოცდილების გაზიარების საკითხები, ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაძლიერება და ამ მიმართულებით საპარლამენტო როლის მნიშვნელობა, ასევე, მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატების როლი და გაერო-ში, გენერალურ ასამბლეაში, საქართველოს ყოველწლიური რეზოლუციის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით ადგილნაცვალი პირებისა და ლტოლვების შესახებ და საერთაშორისო მხარდაჭერის მნიშვნელობა.
- 12) **08.05.2018 - სოფიო ქაგარავას შეხვედრა ევროპარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების ქვეკომიტეტის დელეგაციასთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ევროკავშირის საერთაშორისო მისიებში საქართველოს ჩართულობა, ევროინტეგრაციის გზაზე გატარებული რეფორმები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სიტუაცია და უსაფრთხოების სხვა საკითხები.
- 13) **11.05.2018 - შეხვედრა შვედეთის პარლამენტის წევრთან ფრედრიკ ერიქსონთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოში განხორციელებული დემოკრატიული რეფორმები, ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი და ახალი სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“.
- 14) **11.05.2018 - სოფიო ქაგარავას შეხვედრა ევროპარლამენტის მეგობრობის ჯგუფის დელეგაციასთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების დინამიკა, საქართველოსა და ევროპარლამენტს შორის თანამშრომლობის პრიორიტეტები, ვიზა-ლიბერალიზაცია, ასოცირების შეთანხმების ფარგლებში გადადგმული ნაბიჯები და სამომავლო პერსპექტივები.
- 15) **14.05.2018 - სოფიო ქაგარავას და კომიტეტის წევრების შეხვედრა აზერბაიჯანის მილი მეჯლისის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის წევრებთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს რეგიონული თანამშრომლობის საკითხები, სავაჭრო-ეკონომიკური და სატრანზიტო კავშირების გაძლიერება და რეგიონში არსებული და დაგეგმილი ენერგეტიკული პროექტები. ასევე, საუბარი შეეხო საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას და ამ პროცესში მეგობრობის ჯგუფების მნიშვნელოვან როლს.
- 16) **15.05.2018 - შეხვედრა საერთაშორისო კრიზის ჯგუფის ევროპის და ცენტრალური აზიის პროგრამის დირექტორთან მაგდალენა გრონოსთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება, კონფლიქტის გადაჭრის გზები, სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებზე.
- 17) **15.05.2018 - შეხვედრა გერმანიის მარშალის ფონდის, დემოკრატიის უზრუნველყოფის ალიანსის დირექტორთან ლორა როზენბერგთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს მარშალის ფონდისა და კომიტეტს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები, აშშ-

საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების ფარგლებში არსებული მიმართულებები და საქართველოში განხორციელებული რეფორმები.

- 18) **15.05.2018** - *სოფიო ქაცარავას შეხვედრა დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების, კარგი მმართველობის ფონდის დირექტორთან აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის საკითხებში.* შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ბრიტანეთი-საქართველოს ორმხრივ ურთიერთობებში არსებული მნიშვნელოვანი მიმართულებები, კარგი მმართველობის ფონდის (GGF) პროექტები, საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები და საქართველოს პარლამენტის ინსტიტუციური განვითარების კუთხით მიმდინარე პროცესები.
- 19) **22.05.2018** - *სოფიო ქაცარავას და კომიტეტის წევრების შეხვედრა ესტონეთის პარლამენტის ევროპულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან და საპარლამენტო დელეგაციასთან.* შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის საპარლამენტო კავშირების გაძლიერება, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხები და ამ კუთხით საერთაშორისო ფორმატებში თანამშრომლობა.
- 20) **22.05.2018** - *სოფიო ქაცარავას და კომიტეტის წევრების შეხვედრა ჩეხეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერთან.* შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოში მიმდინარე რეფორმები დემოკრატიის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კუთხით, ასევე, საუბარი შეეხო საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებს, არაღიარების პოლიტიკას, სამშვიდობო ინიციატივას და საპარლამენტო კავშირების გაძლიერების მიმართულებებს.
- 21) **24.05.2018** - *სოფიო ქაცარავას შეხვედრა ლიტვის პარლამენტის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელთან და ჯგუფის წევრებთან.* შეხვედრაზე განხილულ იყო საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები, ლიტვის მეგობრობის ჯგუფის დღის წესრიგი და მეგობრობის ჯგუფების როლი საპარლამენტო კავშირების გაძლიერებაში.
- 22) **28.05.2018** - *სოფიო ქაცარავას შეხვედრა ავსტრიის პარლამენტის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელთან და ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში.* შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოში არსებული საინვესტიციო და ბიზნეს გარემო, ასევე, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაძლიერების საკითხები და ამ პროცესში მეგობრობის ჯგუფების როლი.
- 23) **29.05.2018** - *სოფიო ქაცარავას შეხვედრა საპარლამენტოაშორისო კავშირის IPU გენერალურ მდივანთან;* შეხვედრაზე სოფიო ქაცარავამ გენერალურ მდივანს მიაწოდა ინფორმაცია პარლამენტში მიმდინარე რეფორმების შესახებ. ასევე, მხარეებმა განიხილეს IPU ფარგლებში კავშირების გაძლიერების საკითხები და წევრ ქვეყნებს შორის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება საპარლამენტო რეფორმების კუთხით.
- 24) **11.06.2018** - *პარლამენტის თავმჯდომარის, სოფიო ქაცარავას და პარლამენტის წევრების შეხვედრა ბულგარეთის ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტთან ცვეტა კარაიანჩევასთან.* შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები, საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები, შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები, ტერორიზმთან და ნარკოტრაფიკთან ბრძოლა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.
- 25) **20.06.2018** - *სოფიო ქაცარავას, თამარ ჩუგოშვილი და გიორგი ვოლსკის შეხვედრა ეუთოს ელჩებთან.* შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს რუსეთ-საქართველოს ომის 10 წლისთავი,

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება, ჟენევის მოლაპარაკებები, მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკა და ეუთო-ს როლი კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში.

- 26) **17.07.2018** - *პარლამენტის თავმჯდომარის, სოფიო ქაცარავას და პარლამენტის წევრების შეხვედრა იტალიის პრეზიდენტთან სერჯიო მატარელასთან.* შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების დინამიკა, საპარლამენტო კავშირების გაძლიერების საკითხები და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომავალში გააქტიურებენ თანამშრომლობას როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატებში.
- 27) **17.07.2018** - *პარლამენტის თავმჯდომარის, სოფიო ქაცარავას და პარლამენტის წევრების შეხვედრა სერბეთის პრემიერ-მინისტრთან ანა ბარნაბიჩთან.* შეხვედრაზე მხარეებმა აღნიშნეს სერბეთ-საქართველოს ურთიერთობების გააქტიურების ტენდენციის მნიშვნელობა და განიხილეს საპარლამენტო კავშირების გაძლიერების საკითხები. ასევე, საუბარი შეეხო სამომავლო თანამშრომლობის სფეროებს, როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე.
- 28) **18.07.2018** - *პარლამენტის თავმჯდომარის და სოფიო ქაცარავას და შეხვედრა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ODIHR დირექტორთან ინგებორგ გისლადორირთან.* შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი ადამიანის უფლებების კუთხით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული რთული ვითარება, მთავრობის სამშვიდობო ინიციატივა და სამომავლო ღონისძიებები, რომელიც მიმართულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ.
- 29) **23.07.2018** - *სოფიო ქაცარავას შეხვედრა ევროპარლამენტის მომხსენებელთან ანდრეს მამიკინსთან.* შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს ასოცირების შეთანხმების ანგარიში ევროპარლამენტში, საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები და პროგრესი ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე და ევროპარლამენტსა და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს შორის თანამშრომლობის მიმართულებები.
- 30) **25.07.2018** - *სოფიო ქაცარავას შეხვედრა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის პრეზიდენტთან.* შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ორგანიზაციის მნიშვნელოვანი მიმართულებები, მათ შორის ყველა ის პროექტი, რომელიც მიმართულია კონფლიქტით დაზარალებული პირების დახმარებისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისკენ.
- 31) **07.08.2018** - *პარლამენტის თავმჯდომარის, სოფიო ქაცარავას და პარლამენტის წევრების შეხვედრა ლიეტუვის, პოლონეთის, ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრებთან და უკრაინის ვიცე-პრემიერთან.* მინისტრები საქართველოს სტუმრობდნენ ომის 10 წლისთავთან დაკავშირებით. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესები, ამ მხრივ არსებული გამოწვევები, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზები და საქართველოს მხარდაჭერის საკითხები საერთაშორისო ფორმატებში.
- 32) **20.08.2018** - *სოფიო ქაცარავას შეხვედრა ამერიკის კონგრესის აპარატის თანამშრომლებთან.* შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოში მიმდინარე რეფორმები, უსაფრთხოების გამოწვევები რეგიონში, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხები, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების ფაქტები და აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის დღის წესრიგში არსებული საკითხები.

- 33) **04.09.2018** - *სოფიო ქაცარავას და თამარ ჩუგოშვილის შეხვედრა იოჰანეს ჰანთან*. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს აღმოსავლეთ პარნტიორობის ევროპული სკოლის თბილისში გახნის მნიშვნელობა, საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე გატარებული რეფორმები და სამომავლო პერსპექტივები.
- 34) **04.09.2018** - *თამარ ჩუგოშვილის, სოფიო ქაცარავას და სხვა პარლამენტის წევრების შეხვედრა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრთან*. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ორმხრივი ურთიერთობების მზარდი დინამიკა, სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები და საპარლამენტო კავშირების გაძლიერების პერსპექტივები.
- 35) **06.09.2018** - *სოფიო ქაცარავას შეხვედრა ურუგვაის პარლამენტის სენატორთან მონიკა ქსავიერთან*. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ურუგვაითან ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებები, ურუგვაის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა და პოლიტიკურ დღის წესრიგში არსებული სხვა საკითხები.
- 36) **10.09.2018** - *პარლამენტის თავმჯდომარის, სოფიო ქაცარავას და პარლამენტის სხვა წევრების შეხვედრა ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრთან ლინას ლინკევიჩიუსთან*. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები, საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა.
- 37) **11.09.2018** - *სოფიო ქაცარავას შეხვედრა სახალხო დიპლომატიის საკითხებში ნატო-ს გენერალური მდივნის თანაშემწესთან თაჯან ილდემთან*. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ნატო-საქართველოს პოლიტიკურ დღის წესრიგში არსებული საკითხები, სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები, კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობა და სტრატეგიული კომუნიკაციები, მათ შორის კომიტეტის მიერ ორგანიზებული სტრატეგიული კომუნიკაციების 24 სექტემბრის ფორუმი.
- 38) **13.09.2018** - *თამარ ჩუგოშვილის და სოფიო ქაცარავას შეხვედრა ეუთო-ს გენერალურ მდივანთან ტომას გრემინგერთან*. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, გამოწვევები და ეუთო-ს მნიშვნელობა ამ გამოწვევების დასაძლევად. ასევე, საუბარი შეეხო უსაფრთხოებას და დემოკრატიულ რეფორმებს.
- 39) **17.09.2018** - *სოფიო ქაცარავას შეხვედრა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის ხელმძღვანელთან როჯერ გეილთან და წევრებთან*. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები და კონფლიქტის გადაჭრის შესაძლებლობები. მათი ვიზიტის ფარგლებში, სოფიო ქაცარავა და კომიტეტის წევრები ესტუმრნენ საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებს და ადგილზე გაეცნენ არსებულ ვითარებას.
- 40) **18.09.2018** - *სოფიო ქაცარავას შეხვედრა საპარლამენტო ასოციირების კომიტეტის წევრებთან*. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ევროკავშირი-საქართველოს დღის წესრიგში არსებული საკითხები, საქართველოს პარლამენტის და ევროპარლამენტის თანამშრომლობის შესაძლებლობები და ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელიც მიემდინათ ომის 10 წლისთავს.
- 41) **26.09.2018** - *სოფიო ქაცარავას შეხვედრა საფრანგეთის სენატორების დელეგაციასთან*. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური და

დემოკრატიული რეფორმები, აღმოსავლეთ პარტნიორობის მნიშვნელობა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე გატარებული რეფორმები.

- 42) **26.09.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა ესტონეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან მარკო მიკელსონთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებს შორის კავშირების გაძლიერება და ნორდიკულ-ბალტიურ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფორმატის ჩამოყალიბება.
- 43) **27.09.2018 – სოფიო ქაცარავას შეხვედრა ბრიტანეთის პარლამენტის წევრთან ფაბიან ფამილტონთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება, საქართველო-ბრიტანეთის ორმხრივი ურთიერთობები და საქართველოს მთავრობის ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“.
- 44) **23.10.2018 – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის და სოფიო ქაცარავას შეხვედრა ვატიკანის სახელმწიფოებთან ურთიერთობების მდივანთან, მონსინიორ პოლ რიჩარტ გალაჰერთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის არსებული ურთიერთობები და საქართველოს, როგორც უძველესი ქრისტიანული ქვეყნის მნიშვნელობა ევროპული კულტურისთვის.
- 45) **30.10.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა ესტონეთის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის წევრებთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საპარლამენტო კავშირების გაღრმავების საკითხები, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და უსაფრთხოების სხვა საკითხები.
- 46) **05.11.2018 - პარლამენტის თავმჯდომარის, სოფიო ქაცარავას და პარლამენტის სხვა წევრების შეხვედრა პოლონეთის სეიმის მარშალთან მარეკ კუხჩინსკისთან და დელეგაციის სხვა წევრებთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველო-პოლონეთის საპარლამენტო ასამბლეის მნიშვნელობა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დღის წესრიგში არსებული საკითხები და თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები.
- 47) **22.11.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა არაბეთის გაერთიანებული საემიროების ეროვნული თავდაცვის კოლეჯის დელეგაციასთან.** შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, რეგიონში არსებული უსაფრთხოების გამოწვევები, საქართველოს როლი ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაში და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება.

**V: კომიტეტის თავმჯდომარის და მოადგილეების ვიზიტები საზღვარგარეთ**

*სოფიო ქაცარავას ვიზიტები საზღვარგარეთ:*

**17.01.2018 – 19.01.2018 - პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით საქართველოს დელეგაციის ვიზიტი უკრაინაში.** ვიზიტის ფარგლებში დელეგაციამ გამართა შეხვედრები



უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარესთან, უკრაინის პრემიერ-მინისტრთან, უკრაინის პრეზიდენტთან და აღმასრულებელი ხელისუფლების და საკანონმდებლო ორგანოს



წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე მხარეებმა განიხილეს ორმხრივი საპარლამენტო კავშირების გაძლიერების საკითხები, ხაზი გაესვა ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივებს და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე თანამშრომლობის მნიშვნელობას, ასევე, განხილულ იქნა ორი ქვეყნის საერთო ინტერესების ყველა სფერო და თანამშრომლობის ახალი მიმართულებები.

**21.01.2018 – 26.01.2018 - ევროპის საბჭოს მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი საფრანგეთში, ქ. სტრასბურგი.** დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს



საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაში. სესიის ფარგლებში, ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის საინფორმაციო ბარათში აისახა საქართველოს თანმიმდევრული პროგრესი ევროპის საბჭოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების კუთხით, რაც ევროპის საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობის



საფუძველზე შესრულდა. ასევე, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნინო გოგუაძე და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია არჩეულები იყვნენ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტების თავმჯდომარეებად. ვიზიტის ფარგლებში ასევე გაიმართა შეხვედრები, მათ შორის ევროპის საბჭოს პრეზიდენტთან მიქელე ნიკოლეტისთან და ევროპის საბჭოში ქართული ანბანის გამოფენა გაიხსნა.

**07.02.2018 – 09.02.2018 - სოფიო ქაცარავას ვიზიტი ბელგიასა და ლუქსემბურგში.** 7-9 თებერვალს სოფიო ქაცარავა ეუთოს საპარლამენტო



ასამბლეის ფარგლებში, ვიზიტით ეწვია ბელგიას და ლუქსემბურგს. ვიზიტის ფარგლებში სოფიო ქაცარავამ გამართა შეხვედრები ლუქსემბურგის საგარეო, ევროპულ საქმეთა, თავდაცვისა და მიგრაციის



კომიტეტის თავმჯდომარესთან მარკ ენგელთან, ბელგიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან, ასევე, ბელგიის ვიცე-პრემიერთან, უსაფრთხოებისა და შინაგან საქმეთა მინისტრთან - იან ჯამბონთან, იუსტიციის მინისტრთან - კონ გინსთან, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრთან - რაჩიდ მადრანესთან, ვილვორდეს მუნიციპალიტეტის მერთან - ჰანს ბონტესთან, 2016 წლის ბრიუსელის ტერაქტის პარლამენტის საგამომიებო კომიტეტის თავმჯდომარესთან - პატრიკ დევეელთან, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ბელგიის დელეგაციის ხელმძღვანელთან და სხვა თანამდებობის პირებთან. შეხვედრებზე განიხილებოდა ტერორიზმთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებები, ეუთო-ს რეგიონში არსებული უსაფრთხოების გამოწვევები, საპარლამენტო კავშირების გაღრმავება და თანამშრომლობა საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებასა და მის ეფექტურ გამოყენებაში, ასევე, ყურადღება გამახვილდა საქართველო-ბელგიის და საქართველო-ლუქსემბურგის საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში არსებულ სხვა საკითხებზე.

**15.02.2018 – 17.02.2018 - ვიზიტი ბულგარეთში, ქ. სოფია.** 15-16 თებერვალს, სოფიო



ქაცარავამ ბულგარეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, ჯემა გროზდანოვას მოწვევით მონაწილეობა მიიღო „ერთიანი საგარეო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შესახებ“



საპარლამენტო შორისო კონფერენციაში. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მაღალი რანგის წარმომადგენლებმა კონფერენციაზე ევროკავშირის პრიორიტეტებსა და სტრატეგიაზე, შავი ზღვის რეგიონის როლზე, ბალკანეთის ქვეყნების ევროპულ პერსპექტივაზე და მათ სტრატეგიულ კავშირზე იმსჯელეს ენერგეტიკისა და



სატრანსპორტო მიმართულებით. ვიზიტის ფარგლებში სოფიო ქაცარავამ შეხვედრები გამართა ევროპარლამენტის ვიცე - პრეზიდენტთან იოან პაშკუსთან, ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან დევიდ მაკალისტერთან, ბულგარეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან ჯემა გროზდანოვასთან, თავდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელთან კონსტრანტინ პოპოვთან, ევროპულ საქმეთა და ევროპული ფონდების საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარესთან კრისტიან ვიგენინთან, საქართველოს პარლამენტთან

მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელთან კრისტიანა სიდლოვასთან და ჯგუფის სხვა წევრებთან და რუმინეთის პარლამენტის საგარეო პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარესთან როზალინა ბიროსთან. შეხვედრებზე სოფიო ქაცარავამ ყურადღება გაამახვილა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საკითხებზე, ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებზე, საქართველოს საგარეო კურსის მთავარ მიზნებზე, მისწრაფებებსა და ამ გზაზე მიღწეულ შედეგებზე, დემოკრატიულ რეფორმებზე, საპარლამენტო კავშირების გაძლიერებაზე და მეგობრობის ჯგუფების როლზე ამ პროცესში.

**21.02.2018 – 23.02.2018 - სოფიო ქაცარავას ვიზიტი ავსტრიაში, ქ. ვენა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა.** 22-23 თებერვალს სოფიო ქაცარავამ ქ. ვენაში მონაწილეობა მიიღო ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 2018 წლის ზამთრის სესიის მუშაობაში.



ასამბლეის ეკონომიკურ საკითხთა, მეცნიერების, ტექნოლოგიების და გარემოს დაცვითი კომიტეტის სხდომაზე სოფიო ქაცარავამ მოხსენების კონცეფცია და ის ძირითადი მიმართულებები წარადგინა, რასაც ანგარიშის სახით ყოველწლიურ ზაფხულის სესიაზე ბერლინში წარადგინა. წევრი ქვეყნების დელეგატების წინაშე სოფიო ქაცარავამ ყურადღება გაამახვილა იტალიის,

როგორც ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის პრიორიტეტებსა და მიზნებზე 2018 წელს. ასამბლეის ძირითადი კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე, სოფიო ქაცარავამ დელეგატებს მიმართა, რომლის მთავარი მომხსენებლებიც იტალიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვინჩენსო ამენდოლა და ეუთო-ს გენერალური მდივანი ტომას გრემინგერი იყვნენ. მან ხაზი გაუსვა იტალიის, როგორც ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის პირველ პრიორიტეტს - კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხს, რაც საქართველოს პირველ ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს. სოფიო ქაცარავამ პოზიცია დააფიქსირა ასევე პოლიტიკურ საქმეთა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის, ფილიპო ლომბარდის მიერ მიგრაციის საკითხებზე წარდგენილი ანგარიშის საპასუხოდ, ასამბლეის ძირითადი კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც დელეგაციის ხელმძღვანელმა მიგრაციის გამოწვევებზე ისაუბრა. ვიზიტის ფარგლებში სოფიო ქაცარავამ ორმხრივი შეხვედრები გამართა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) დირექტორთან ინგიბორგ გისლედოტირთან, ეუთო-ს წარმომადგენელს მედიის თავისუფლების



საკითხებში, ჰარლემ დეზირთან, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის დელეგაციების ახალ შემადგენლობასთან და ჰოლანდიის დელეგაციის ხელმძღვანელთან და წევრებთან. შეხვედრებზე განიხილებოდა ეუთო-ს ინსტიტუტებსა და საქართველოს თანამშრომლობის საკითხები, გენდერული თანასწორობისა და საპარლამენტო ზედამხედველობის საკითხები, მედია თავისუფლების ხარისხის მნიშვნელობა დემოკრატიის კონსოლიდაციის პროცესში, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება, კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარების საკითხები და სხვა.



**26.02.2018 – 02.03.2018 ვიზიტი თურქეთში, ქ. ანკარა.** საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია სოფიო ქაცარავას ხელმძღვანელობით, ანკარაში სამმხრივი საპარლამენტო ფორმატის (საქართველო, აზერბაიჯანი, თურქეთი) ფარგლებში იმყოფებოდა თურქეთში.



დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრები - კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნინო გოგუაძე, ზვიად კვაჭანტირაძე და რამაზ ნიკოლეიშვილი. შეხვედრები საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის პარლამენტების საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების ხელმძღვანელებსა და წევრებს შორის გაიმართა. ასევე, ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები შედგა თურქეთის პრემიერ-მინისტრთან ბინალი

ილდირიმთან და თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარესთან ისმაილ კაპრამანთან. სამმხრივი ფორმატის ფარგლებში მხარეებმა საპარლამენტო დიპლომატიის, რეგიონული უსაფრთხოების და პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერებისა და ახალი პერსპექტივის საკითხები განიხილეს და ხელი მოაწერეს კომიტეტებს შორის შეთანხმებას, რომელიც სტრატეგიული პარტნიორობის, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების, საერთაშორისო ფორმატებში ურთიერთობის, საპარლამენტო დიპლომატიის და კულტურული და ხალხთა შორის კავშირების გაძლიერების აუცილებლობას ასახავს; ასევე დოკუმენტში გამოხატულია საქართველოს და აზერბაიჯანის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა.



**28.03.2018 – 30.03.2018 სოფიო ქაცარავას ხელმძღვანელობით, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი ირლანდიაში ქ. დუბლინი.** 27-30 მარტს ირლანდიის პარლამენტის



საგარეო საქმეთა, ვაჭრობისა და თავდაცვის ერთობლივი კომიტეტის თავმჯდომარის ბრენდან სმიტის ოფიციალური მოწვევით, სოფიო ქაცარავას ხელმძღვანელობით დუბლინში ვიზიტი გამართა საქართველოს პარლამენტის დელეგაციამ. ვიზიტის ფარგლებში სოფიო ქაცარავა სიტყვით გამოვიდა ირლანდიის პარლამენტის საგარეო საქმეთა, ვაჭრობისა და თავდაცვის ერთობლივი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც პირდაპირი სატელევიზიო ეთერით გადაიციმოდა.

გამოსვლისას, მან ხაზი გაუსვა გლობალურ უსაფრთხოებაში საქართველოს წვლილს და საქართველოს ნატოში გაწევრიანების მნიშვნელობას. სოფიო ქაცარავამ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის, გატაცებების, დაპატიმრებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობასა და უკანანო ქმედებებზე და ამ კონტექსტში განიხილა არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალების ფაქტი და პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია ამასთან დაკავშირებით. სოფიო ქაცარავამ ასევე ისაუბრა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და საქართველო-



ირლანდიის ორმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობასა და სამომავლო პერსპექტივებზე. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციამ შეხვედრები გამართა ირლანდიის პარლამენტის ქვედა პალატის, დოილის თავმჯდომარესთან შონ ო'ფარელთან, სენატის



თავმჯდომარესთან დენის ო'დონოვანთან, ირლანდიის პარლამენტის საგარეო საქმეთა, ვაჭრობისა და თავდაცვის ერთობლივი კომიტეტის თავმჯდომარესთან ბრენდან სმიტთან და კომიტეტის წევრებთან, ირლანდიის პარლამენტის ევროკავშირის საქმეთა ერთობლივი კომიტეტის თავმჯდომარესთან, დეპუტატ მაიკლ ჰილი-რეისთან და კომიტეტის წევრებთან, და ირლანდიის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის დეპარტამენტის მეორე

გენერალურ მდივანთან რორი მონტგომერისთან. შეხვედრებისას მხარეებმა განიხილეს ორმხრივი ურთიერთობების დღის წესრიგში არსებული მიმართულებები და საპარლამენტო კავშირების გაძლიერების შესაძლებლობები. ირლანდიის პარლამენტში ოფიციალურად ჩამოყალიბდა საქართველოს პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფი, რომლის ოფიციალური დაარსებაც სწორედ ვიზიტის დროს მოხდა. საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ოფიციალურად ჩამოყალიბებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტში ირლანდიის პარლამენტთან მეგობრობის ხელმძღვანელი სოფიო ქაცარავა, დოილის თავმჯდომარე შონ ო'ფარელი, სენატის თავმჯდომარე დენის ო'დონოვანი, საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი ნოელ გრელიში და საგარეო საქმეთა, ვაჭრობისა და თავდაცვის ერთობლივი კომიტეტის თავმჯდომარე ბრენდან სმიტი.

**15.04.2018 – 17.04.2018 - ვიზიტი დანიაში, ქ. კოპენჰაგენი, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა.**

15-17 აპრილს სოფიო ქაცარავა ესტუმრა ქ.კოპენჰაგენს და მონაწილეობა მიიღო ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 2018 წლის ბიუროს სესიის მუშაობაში. სხდომაზე ბიუროს წევრებმა ძირითადი კომიტეტების რეზოლუციების პროექტები, ორგანიზაციის მომავალი



წლის ბიუჯეტი, იტალიის, რუსეთის ფედერაციის და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გამართული არჩევნები და სადამკვირვებლო მისიების ანგარიშები განიხილეს. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, სოფიო ქაცარავამ სიტყვით მიმართა ბიუროს წევრებს და ყურადღება გაამახვილა უსაფრთხოებისა და ეუთო-ს სივრცეში კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ და

აღნიშნა, რომ ეს საკითხები უნდა აისახოს ყოველწლიური ასამბლეის დეკლარაციაში.

სოფიო ქაცარავამ ასევე განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხს, რაც ბოლო 20 წლის მანძილზე, უდიდეს გამოწვევად რჩება საქართველოში. მან ყურადღება გაამახვილა ეუთო-ს სივრცეში ამ გამოწვევის მნიშვნელობაზე. დელეგაციის ხელმძღვანელმა ბიუროს სხდომაზე ისაუბრა ასევე ტერორიზმთან ბრძოლის მნიშვნელობაზე, ამ მიმართულებით პარლამენტის როლზე და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის შესაბამისი კომიტეტის საქმიანობაზე.



ვიზიტის ფარგლებში სოფიო ქაცარავამ ორმხრივი შეხვედრები გამართა დანიის პარლამენტში, სადაც ორ ქვეყანას შორის საპარლამენტო კავშირებისა და სექტორული თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ იმსჯელეს. შეხვედრები შედგა დანიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრთან და დანიის

პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან მოგენს ლიკეტოფთან, კომიტეტის წევრთან მაიკლ იენსენთან, და სახალხო პარტიის წევრთან კენეტ ბერტთან და მოგენს ლიკეტოფთან. შეხვედრებზე მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის საპარლამენტო კავშირებისა და სექტორული თანამშრომლობის გაძლიერების, რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ აგრესიული ნაბიჯების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების, ეკონომიკური კავშირების გამყარების და დანიის მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტების შესახებ.

**07.06.2018 – 08.06.2018 - სოფიო ქაცარავას ვიზიტი სერბეთში ქ. ბელგრადი.** 7-8 ივნისს, საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია სოფიო ქაცარავას ხელმძღვანელობით ეწვია სერბეთს.



ვიზიტის ფარგლებში დელეგაციამ შეხვედრები გაიმართა სერბეთის ეროვნული ასამბლეის წარმომადგენლებთან, კერძოდ, სერბეთის ეროვნული ასამბლეის ვიცე-სპიკერთან - ვლადიმერ მარინკოვიჩთან, სერბეთის ეროვნული ასამბლეის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან - ჟარკო ობრადოვიჩთან,

სერბეთის ეროვნული ასამბლეის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელთან - დუბრაჟკა ფილიპოვსკისთან და სერბეთის ეროვნული ასამბლეის ევროპასთან

ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან - ნენად ჩანაკთან. შეხვედრებზე მხარეებმა ხაზი გაუსვეს ბოლო 1 წლის მანძილზე საქართველოსა და სერბეთის ორმხრივი საპარლამენტო ურთიერთობების უპრეცედენტო გააქტიურებას და განიხილეს საკითხების ფართო სპექტრი, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, საქართველოს



ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხი და ამ კუთხით სერბეთის გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობა, საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა



და სერბეთის მხარდაჭერა საერთაშორისო ფორმატებში, ორმხრივი საპარლამენტო კავშირების სამომავლო დღის წესრიგი, კულტურის, ტურიზმის და განათლების სფეროებში თანამშრომლობის შესაძლებლობები და სხვა საკითხები. სერბულმა მხარემ კვლავ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერა. საქართველოს საპარლამენტო

დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, პირველად სერბეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის და პირველი რესპუბლიკის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სერბეთის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარემ, პარლამენტის წევრებმა, სერბეთის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ქართულმა დიასპორამ. ღონისძიებაზე სოფიო ქაცარავამ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და თავის მიმართვაში ისაუბრა საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტებზე, ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე, ევროპულ მისწრაფებებზე, საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე და საქართველო-სერბეთის ურთიერთობებზე. ღონისძიების ფარგლებში,

საზოგადოებას ასევე სიტყვით მიმართა სერბეთის ასამბლეის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ - ჟარკო ობრადივიჩმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა სოფიო ქაცარავას პირადად მისი ძალისხმევითვის, რომელმაც მნიშვნელოვნად დაახლოვა 2 ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოები და იმედი გამოთქვა, რომ ეს კვლავ ასე დინამიურად გაგრძელდება და ორმხრივ ურთიერთობებს ახალ საფეხურზე გადაიყვანს.

**07.07.2018 – 11.07.2018 - სოფიო ქაცარავას ვიზიტი გერმანიაში, ქ. ბერლინი ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა.** 7-11 ივლისს პარლამენტის ეუთო-ს მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაცია სოფიო ქაცარავას ხელმძღვანელობით ესტუმრა ქ. ბერლინს,



სადაც მონაწილეობა მიიღო ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის 2018 წლის სესიაში. დელეგაციის მთავარ ამოცანას ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 27-ე ყოველწლიური სესიაზე, სოფიო ქაცარავას მიერ ინიცირებული რეზოლუციის პროექტის: „10 წელი აგვისტოს ომის შემდეგ“ დამტკიცება წარმოადგენდა. მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომაზე სოფიო ქაცარავამ რეზოლუციის პროექტი „10 წელი აგვისტოს ომის შემდეგ“

წარადგინა. რუსეთის ფედერაციის დელეგაციის ხელმძღვანელმა განსახილველი საკითხებიდან მისი ამოღება მოითხოვა, რასაც კომიტეტის სხდომაზე კენჭისყრა მოჰყვა. ასამბლეის დელეგაციათა ხმათა უმრავლესობით (29 მომხრე, 2 წინააღმდეგი), საქართველოს მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტი სესიის დღის წესრიგში დარჩა. პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებს, იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების



საჭიროებას და ოთხოზორია, ტატუნაშვილი, ბაშარულის მკვლელობის გამოძიებასა და საერთაშორისო მექანიზმების დაშვების აუცილებლობას მოიცავდა. პოლიტიკურ საკითხთა და უსაფრთხოების კომიტეტის სხდომაზე სოფიო ქაცარავას მიერ ინიცირებული რეზოლუციის პროექტის- „10 წელი აგვისტოს ომის შემდეგ“ ხმათა უმრავლესობით, 45 მომხრე-2 ის წინააღმდეგ იქნა მიღებული და ასამბლეის პლენარული სესიის დღის წესრიგში იქნა გათვალისწინებული.

მუდმივმოქმედი ხელმძღვანელის ინიცირებული რეზოლუციის მიხედვით, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა რუსეთის ფედერაციას საქართველოს ტერიტორიებიდან სამხედრო ძალების გაყვანის და 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულებისკენ მოუწოდებს. ასამბლეა ასევე გმობს საქართველოს მოქალაქეების ტატუნაშვილი, ოთხოზორია და ბაშარულის მკვლელობებს და რუსეთის ფედერაციისგან კატეგორიულად მოითხოვს არ შეუშალოს ხელი საგამოძიებო პროცედურებს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად და ხელი შეუწყოს სამართლის აღსრულებას.

რეზოლუციაში ასახულია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სადამკვირვებლო მექანიზმების დაშვების აუცილებლობა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ საცხოვრებელ ადგილებზე ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების საჭიროება. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს ორგანიზაციას გააძლიეროს ძალისხმევა სადამკვირვებლო მისიის სრულად აღდგენისთვის საქართველოს ტერიტორიაზე მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. რეზოლუციაში ასამბლეა მიესალმება საქართველოს მთავრობის ახალ ინიციატივას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“, რაც კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისა და საოკუპაციო ხაზით დაშორებული



საზოგადოების დაახლოებისკენ არის მიმართული. ასამბლეის გამართულ დასკვნით პლენარულ სესიაზე რუსეთის ფედერაციის დელეგაციის წინააღმდეგობის მიუხედავად, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო ბერლინის დეკლარაცია, რომელშიც ასევე, ცვლილებების გარეშე, აისახა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი რეზოლუციის

პროექტი: „10 წელი აგვისტოს ომის შემდეგ“. ვიზიტის ფარგლებში, ეკონომიკურ საკითხთა, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და გარემოს დაცვის კომიტეტის სხდომაზე სოფიო ქაცარავამ კომიტეტის ანგარიში რეზოლუციის პროექტი წარადგინა. მან საპარლამენტო ასამბლეის სამუშაო თემაზე - ეუთოს ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობისთვის საპარლამენტო როლის გავლენაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქვეყნების პარლამენტების როლის გაძლიერება ხელშესახები შედეგის წინაპირობა იქნება. სოფიო ქაცარავა სიტყვით გამოვიდა აგრეთვე დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული საკითხების კომიტეტზე, სადაც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების უხემ დარღვევებზე, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ ისაუბრა. კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ნიშნით სისტემატური დისკრიმინაციისა და ადამიანებზე ზღვარგადასული ძალადობის ფაქტები აღნიშნა. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიური სესიის ფარგლებში, სოფიო ქაცარავას ინიციატივით ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისის (ODIHR)-ის დირექტორთან, ინგიბორგ გისლადოტირთან ერთად, ეუთოს რეგიონში საპარლამენტო ზედამხედველობის შესახებ ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაზე ძირითადი მოხსენება დელეგაციის ხელმძღვანელმა, სოფიო ქაცარავამ წარმოადგინა, რომელმაც საქართველოს პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერების პროცესზე და რეგლამენტის ცვლილებებზე ისაუბრა. მომხსენებელმა რეგლამენტში დაგეგმილი ცვლილებების მნიშვნელობაზე და ამ კუთხით, საკანონმდებლო ორგანოსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის ინსტრუმენტებზე ისაუბრა. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სესიის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელი სოფიო ქაცარავა, რომელიც ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და გარემოს დაცვის კომიტეტის



მომხსენებელი იყო, სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტად და პოლიტიკურ საკითხთა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს.

**14.08.2018 – 16.08.2018 - ვიზიტი პარაგვაიში, ქ. ასუნსიონი. 14-16 აგვისტოს სოფიო ქაცარავა ოფიციალური ვიზიტით ეწვია პარაგვაის.** ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პარაგვაის



პრეზიდენტის - მარიო აბდო ბენიტესის ინაუგურაციის ცერემონიაში მონაწილეობის მიღება და ორმხრივი შეხვედრები ლათინური ამერიკის ქვეყნების მთავრობის წარმომადგენლებთან. ვიზიტის ფარგლებში სოფიო ქაცარავამ გამართა შეხვედრები არგენტინის რესპუბლიკის კონგრესის დეპუტატთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან,

კორნელია შმიდტ-ლიერმანთან, პარაგვაის რესპუბლიკის ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატის (პარლამენტის ქვედა პალატა) თავმჯდომარესთან, მიგელ ხორხე კუევასთან, არგენტინის საგარეო საქმეთა და კულტურის მინისტრთან, ხორხე ფორისთან და ეკვადორის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და ადამიანური მობილობის მინისტრთან, ხოსე ვალენსიასთან.



შეხვედრებზე განხილულ იქნა ორმხრივი და მრავალმხრივი საკითხების ფართო სპექტრი. მათ შორის საპარლამენტო კავშირების გაძლიერება, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო, კულტურული და უწყებათაშორის თანამშრომლობის საკითხები, ასევე, მეგობრობის ჯგუფების ჩამოყალიბების საკითხები ლათინური ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებში და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ყველა შეხვედრაზე, სოფიო ქაცარავა ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე, რუსულ აგრესიაზე, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზებზე და ამ კუთხით ლათინური ქვეყნების მხარდაჭერის მნიშვნელობაზე, საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებზე და სხვა.

**22.08.2018 – 23.08.2018 - სოფიო ქაცარავას ვიზიტი ლიეტუვაში, ქ. ვილნიუსი.** ვიზიტის ფარგლებში სოფიო ქაცარავამ მონაწილეობა მიიღო ვალდას ადამკუსის საერთაშორისო



კონფერენციაში სადაც სიტყვით მიმართა მონაწილეებს და გამართა ორმხრივი შეხვედრები. კონფერენციის სესიაზე სახელწოდებით – “ევროპული და ტრანსატლანტიკური მდგრადობის აღდგენა”, სოფიო ქაცარავამ ევროპაში ტრანსატლანტიკური ერთიანობისა და ლიდერობის განმტკიცების, ევროკავშირისა და ნატო-ს გაფართოების საკითხებზე ისაუბრა. აქცენტი

ევროპაში არსებულ კონფლიქტებზე, ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების გამოწვევებზე და რუსეთის აგრესიული ქმედებების დაბალანსების აუცილებლობაზე გააკეთა. ასევე, მან ყურადღება გაამახვილა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ უმძიმეს ვითარებასა და საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, რაც, უპირველეს

ყოვლისა ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებას ითვალისწინებს. კონფერენციაში სოფიო ქაცარავასთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ შვედეთელი შტატებისა და ევროპის ქვეყნების აღმასრულებელი საკანონმდებლო და ხელისუფლების მაღალი დონის წარმომადგენლები და უსაფრთხოების სფეროს საერთაშორისო ექსპერტები. სოფიო ქაცარავასთან ერთად პანელზე გამოდიოდნენ აშშ-ს სპეციალური წარმომადგენელი და მაკკეინის ინსტიტუტის დირექტორი კურტ ვოკერი, უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო, ლიეტუვა-საქართველოს



პარლამენტაშორისი მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარე ჟიგიმანტას პავილიონისი, მოლდოვას პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი მაია სანდუ, გერმანიის ბუნდესტაგის წევრი ქრისტიან შმიდტი და სხვა მაღალი დონის ოფიციალური პირები და ექსპერტები, ხოლო პანელს მოდერაციას უწევდა ატლანტიკური საბჭოს პრეზიდენტი დეიმონ ვილსონი. ვიზიტის ფარგლებში სოფიო ქაცარავამ შეხვედრა გამართა ლიეტუვის სეიმის საგარეო ურთიერთობათა და ევროპულ საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეებთან და საფრანგეთის სენატის ევროპულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საპარლამენტო დიპლომატიის როლი ეროვნულ ინტერესებში, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებზე, ახალ პერსპექტივებსა და სამომავლო დღის წესრიგზე, საქართველოში გატარებული რეფორმები, საგარეო პრიორიტეტები, ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა და ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული გამოწვევები. ასევე, საუბარი შეეხო „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიასაც.

**03.10.2018 – 06.10.2018 - სოფიო ქაცარავას ვიზიტი ქ.ბიშკეკში.** ვიზიტის ფარგლებში სოფიო ქაცარავამ მონაწილეობა მიიღო ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 2018 წლის შემოდგომის სესიის მუშაობაში. სესიის ფარგლებში, საპარლამენტო ფორუმის მონაწილეები სამი დღის განმავლობაში მსჯელობდნენ ეუთოს სივრცეში არსებულ გამოწვევებზე, როგორცაა რეგიონული უსაფრთხოება, ეკონომიკური თანამშრომლობა, სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა, მიგრაცია, ტერორიზმი და გარემოს დაცვითი ღონისძიებები. პარლამენტარები გაეცნენ მოხსენებებს და გამართეს დისკუსია სხვადასხვა ამ საკითხებზე. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, მუდმივმოქმედ კომიტეტის



სხდომაზე სოფიო ქაცარავამ, როგორც ტერორიზმთან ბრძოლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ანგარიში წარადგინა, რომლის ძირითად საკითხებს კომიტეტის ფარგლების ჩატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები და სხდომები წარმოადგენდა. სესიის ფარგლებში საკომიტეტო მოსმენების პარალელურად გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით: „უსაფრთხოების დიალოგის ხელშეწყობა ცენტრალურ აზიაში და მის ფარგლებს გარეთ“. სოფიო ქაცარავამ საპარლამენტო ასამბლეის ფორმატში მონაწილეობა მიიღო ღია მმართველობის პარტნიორობის ღონისძიებაში, რომელიც ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ იყო ორგანიზებული და კოლეგებს გაუზიარა საქართველოს გამოცდილება, მიღწევები და პროგრესი ამ მიმართულებით. ისაუბრა იმ საჭიროებებზე, რაც ამ სფეროში წარმატებისთვისაა საჭირო და ხაზი გაუსვა პოლიტიკურ ნებასა და კოორდინირებული

თანამშრომლობის მნიშვნელობას. აუდიტორიას გააცნო განხორციელებული რეფორმებისა და სამოქმედო გეგმის მთავარი პრიორიტეტები.

**07.10.2018 – 11.10.2018 - სოფიო ქაცარავას ვიზიტი საფრანგეთში, ქსტრასბურგი.** ევროსაბჭოში საქართველოს მუდმივმოქმედ დელეგაციასთან ერთად სოფიო ქაცარავამ მონაწილეობა მიიღო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში და სიტყვით მიმართა მონაწილეებს. მან თავის გამოსვლაში ისაუბრა ევროსაბჭოს მომავალზე და მთავარ ღირებულებებზე, რაც ორგანიზაციის ეფექტურობაზე, მდგრადობასა და სანდოობაზე მეტყველებს. სოფიო ქაცარავამ ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, როგორც არის კორუფციასთან ბრძოლა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც ევროსაბჭოს საქმიანობასა და ღირებულებებს ეხება.

**24.10.2018-25.10.2018 – სოფიო ქაცარავას ვიზიტი პოლონეთში, ქ. ვარშავა.** საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ სოფიო ქაცარავამ, ვარშავის უსაფრთხოების ფორუმის ფარგლებში, ვარშავაში სამუშაო



ვიზიტი განახორციელა. ვიზიტის ფარგლებში 24 ოქტომბერს მან შეხვედრები გამართა პოლონეთის რესპუბლიკის სენატის ვიცე-მარშალთან, საქართველო-პოლონეთის ერთობლივი საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარესთან მარია



კოცთან და სემის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან გჟეგოჟ სხეტინასთან. ვარშავის უსაფრთხოების ფორუმის ფარგლებში სოფიო ქაცარავამ სპიკერის რანგში მონაწილეობა მიიღო დებატებში ორ სხვადასხვა სესიაზე - 1) Celebrating 100 Years of Independence in Central Europe - A Look at the Past, Perspectives for the Future; 2) Europe Whole and Free - An Idea of the Past or of the Future. პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩთან ერთად, მან ასევე მონაწილეობა მიიღო „უსაფრთხოების ახალგაზრდა ლიდერებთან“ სპეციალური ფორმატის შეხვედრაში (Leadership Talks with New Security Leadres), სადაც ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან, ასევე აშშ-სა და კანადიდან შერჩეულ ახალგაზრდა ლიდერებთან ისაუბრა საქართველოს საგარეო ურთიერთობათა პრიორიტეტებზე, განსაკუთრებული აქცენტით ევროინტეგრაციის პროცესზე; ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებზე, უსაფრთხოების გამოწვევებზე. 25 ოქტომბერს სოფიო ქაცარავამ, ფორუმის ფარგლებში, ასევე ორმხრივი შეხვედრები გამართა კატერინა მატერნოვასთან (Deputy Director-General, Directorate-General Neighbourhood and Enlargement Negotiations, European Commission) მაჩეი პოპოვსკისთან (Deputy Director-General, European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations, European Commission) სადაც განიხილა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმები და ყველა ის ნაბიჯი, რომელიც გადადგა ქვეყანამ ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე.

**07.11.2018-09.11.2018 – სოფიო ქაცარავას ვიზიტი დიდ ბრიტანეთში, ქ.ლონდონი.** ვიზიტის ფარგლებში, სოფიო ქაცარავამ მსოფლიოს ქალი პარლამენტარების კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც 1918 წელს ქალთა საარჩევნო უფლებების მოპოვების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა და რომელსაც დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის, თემთა პალატის წევრი ჰარიეტ ჰერმანი და დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ურთიერთობების



სახელმწიფო მდივანი პენი მორდო მასპინძლობდნენ. კონფერენციის ფარგლებში სოფიო ქაცარავამ მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში ქალი პარლამენტარების როლზე გენდერული



თანასწორობის საკითხებში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ პანელში. ვიზიტის ფარგლებში სოფიო ქაცარავა ლონდონში, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის საქართველოს საკითხებზე პარლამენტაშორისი ჯგუფის ხელმძღვანელს ჯონათან ჯანოლლის შეხვდა და რუსეთის უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა, რაც საოკუპაციო ხაზის ხელოვნური ბარიერებით გამაგრებას გულისხმობს. ვიზიტის ფარგლებში სოფიო ქაცარავა ასევე შეხვდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის კომუნიკაციების

დირექტორს ალექს აიკენს, რომელთანაც განიხილა სტრატეგიული კომუნიკაციების მნიშვნელობა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის როლი ამ მიმართულებით. შეხვედრაზე განიხილეს სტრატეგიული კომუნიკაციების ფორუმის საკითხები, რომელიც პარლამენტში სოფიო ქაცარავას ინიციატივით ჩატარდა და რომელზეც მიღებულ იქნა ბრიტანელი და ამერიკელი ექსპერტებისგან მთელი რიგი რეკომენდაციები, თუ როგორ მოხდეს ამ სფეროს სისტემატიზაცია საქართველოში

**16.11.2018-19.11.2018 - სოფიო ქაცარავას ვიზიტი ქ.ჰალიფაქსში, კანადა.** ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში მუდმივმოქმედი დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, სოფიო



ქაცარავამ მონაწილეობა მიიღო ასამბლეის წლიური სესიის მუშაობაში. ღონისძიების ფარგლებში ასამბლეის წევრებმა განიხილეს, ისეთი საკითხები როგორცაა რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდული გამოწვევები, ავღანეთის უსაფრთხოება და სტაბილურობა, ბალკანეთსა და შავი ზღვის რეგიონებში არსებული უსაფრთხოების გამოწვევები. სესიის ფარგლებში, სოფიო ქაცარავამ გამართა შეხვედრა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივნის მოადგილესთან როუზ გოტემოლერთან, სადაც განიხილა ნატო-საქართველოს ურთიერთობების ფართო სპექტრი, საქართველოში მიმდინარე რეფორმები და რეგიონში არსებული უსაფრთხოების გამოწვევები. სესიის ფარგლებში,

დელეგაციის წევრებმა რიგი ცვლილებები შეიტანეს ასამბლეის თავდაცვისა და უსაფრთხოების და უსაფრთხოების სამოქალაქო განზომილების კომიტეტების მიერ შემუშავებულ რეზოლუციებში. კერძოდ რეზოლუციებში აისახა, 2008 წელს, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებული ფართომასშტაბიანი სამხედლო აგრესია, მიმდინარე უკანონო ოკუპაცია და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი ანექსისკენ გადადგმული ნაბიჯები, ასამბლეა მიესალმა შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში საქართველოსთან სტრატეგიულ დისკუსიაში ჩართულობას და საქართველოს მიერ შეტანილ წვლილს. მოუწოდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრის ქვეყნების მთავრობებს და პარლამენტებს მაქსიმალურად ჩართონ საქართველო ნატო-ს ყველა იმ პროგრამაში, რომელიც შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებას უკავშირდება. სესიის ბოლო დღეს, ასამბლეის წევრებმა ორგანიზაციის ახალ პრეზიდენტად ბრიტანელი დეპუტატი მადლინ მუნი (ლეიბორისტული პარტიიდან) აირჩიეს.

**05.12.2018-07.12.2018 - სოფიო ქაჯარავას ვიზიტი ქ.მილანში, იტალია, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა.** საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო ქაჯარავამ სიტყვით მიმართა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ბიუროს წევრებს, თავის გამოსვლაში



შეეხო როგორც საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს, ასევე საპარლამენტო ასამბლეის რეგლამენტისა და ზოგადად სამუშაო პროცესის თემებს. დელეგაციის ხელმძღვანელმა ასევე ხაზი გაუსვა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის საარჩევნო სადამკვირვებლო სტანდარტს და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით ის სამაგალითოა სხვა ორგანიზაციებისათვის, რადგან სადამკვირვებლო მისია უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი პოლიტიკური მიკერძოებისგან.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ აგრეთვე აღნიშნა, რომ ასამბლეის დოკუმენტები, განსაკუთრებით კი სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტარების მიერ მომზადებული რეზოლუციები ასახავენ იმ აქტუალურ თემატიკას, რაც დღესდღეობით მნიშვნელოვანია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, ხაზს უსვამს ასამბლეის ცნობადობის და ავტორიტეტის საკითხს. წევრი პარლამენტები წარმოადგენენ თავის მოსახლეობას, რომელთანაც ანგარიშვალდებულნი არიან, ამიტომ მნიშვნელოვანია რეზოლუციების საფუძველზე პრაქტიკული შედეგების მიღწევა.

ნინო გოგუაძის ვიზიტები საზღვარგარეთ

**22.02.2018 – 26.02.2018 - ნინო გოგუაძის ვიზიტი აშშ-ში.** 22-26 თებერვალს, ნინო გოგუაძე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ქ. ვაშინგტონში, აშშ. ვიზიტი განხორციელდა



ევროპული კონსერვატიული ალიანსის - „ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტების“ ორგანიზებით და მხარდაჭერით. ვიზიტის ფარგლებში ნინო გოგუაძემ მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების კონსერვატიული პარტიის კონფერენციაში. კონფერენცია იმართება ყოველწლიურად და მონაწილეობას იღებენ, როგორც აშშ კონსერვატიული/რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები, ასევე კონსერვატიული

პარტიების წარმომადგენლები მსოფლიოდან სხვადასხვა ქვეყნებიდან. კონფერენცია გახსნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა - დონალდ ტრამპმა და ისაუბრა ამერიკის როგორც საგარეო ასევე საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტებზე. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის კონგრესის წევრები, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე არასამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლები.

**18.03.2018 – 20.03.2018 - ნინო გოგუაძის ვიზიტი დიდ ბრიტანეთში, ქ. ლონდონი.** 18-20 მარტს, „ვესტმინსტერის ფონდის დემოკრატიისთვის“ მიწვევით, ნინო გოგუაძე იმყოფებოდა ქ. ლონდონში საერთაშორისო კონფერენციაზე „ძალადობა ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ“. კონფერენცია ჩატარდა გაერთიანებული სამეფოს ყველა



პოლიტიკური პარტიის და „ვესტმინსტერის ფონდი დემოკრატიისთვის“ მხარდაჭერით და ორგანიზებით. კონფერენციაზე, ნინო გოგუაძემ მოხსენება გააკეთა საკითხზე „Costs of Politics for Women“, სადაც ისაუბრა საქართველოს გამოცდილებაზე ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებში, ასევე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების მიერ განხორციელებულ და მიმდინარე საქმიანობების შესახებ ქალთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობის გაძლიერების თვალსაზრისით. კონფერენციაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის ქალი პოლიტიკოსები,

ასევე ჟურნალისტები, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. მონაწილეებს შორის იყვნენ გაერთიანებული სამეფოს, აშშ, უკრაინის, კანადის, სამხრეთ აფრიკის, იორდანის, ეგვიპტის, არგენტინის მოქმედი და ყოფილი პარლამენტის წევრები, ასევე სხვა წარმომადგენლები. კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა ქალთა მეტი პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობის საკითხებზე ქვეყნებს შორის გამოცდილებების გაზიარება, საერთო და ინდივიდუალური პრობლემების იდენტიფიცირება და საერთო აქტივობების შესახებ მსჯელობა. ასევე, ქალ პოლიტიკოსთა გლობალური ქსელის გაფართოება და ურთიერთობების გაღრმავება.

**06.05.2018 – 10.05.2018 - ნინო გოგუაძის და ზვიად ძიძიგურის ვიზიტი აშშ-ში.** საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი განხორციელდა ამერიკის რესპუბლიკური



ინსტიტუტის (IRI) მიწვევით. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული და სამომავლო ურთიერთობების სფეროების განხილვა, თანამშრომლობის ახალი ფორმატების შესახებ მსჯელობა, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შესახებ ინფორმაციის გაცვლა.

შეხვედრები შედგა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, ამერიკის კონგრესის წევრებთან, ამერიკული არასამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, კერძოდ: ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპულ საქმეთა ბიუროს კავკასიის საქმეთა და რეგიონული კონფლიქტების დეპარტამენტის მოადგილესთან - ჯენ ბოროსთან, ამერიკის კონგრესის წევრებთან - პიტერ როსკამთან, დევიდ ფრაისთან და სკოტ პერისთან, IRI-ის ევრაზიის რეგიონის დირექტორთან სტეფან ნიქსთან, „ჰერიტიჯ ფაუნდეიშენ“-ის ექსპერტთან ლუკ კოფთან, - NED-ის რუსეთისა და ევრაზიის განყოფილების დირექტორთან მარიამ ლანსკოიტან, ჰადსონის ინსტიტუტის წამყვან ექსპერტებთან რიჩარდ ვეთისთან, ბრიუს ჯექსონთან, კრეიგ კენედისთან.

შეხვედრების მთავარ საკითხებს წარმოადგენდა აშშ-ს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოებთან კავშირების გაძლიერება, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობის გაძლიერება, ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და საქართველოში განხორციელებული თანამშრომლობა, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესი, საქართველოში მიმდინარე რეფორმები და სხვა საკითხები. ვიზიტის ფარგლებში, ნინო გოგუაძემ მონაწილეობა მიიღო ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ორგანიზებულ კონფერენციაში თემაზე - „NotTheCost for women in politics“ და მადლენ ოლბრაითის მასპინძლობით გამართულ ღონისძიებაში. სიტყვით გამოსვლისას, ნინო გოგუაძემ ისაუბრა საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებზე, ამ მიმართულებით, ხელისუფლების მიერ გატარებულ და მიმდინარე რეფორმებზე, ასევე თუ როგორ გავლენას ახდენს რუსული პროპაგანდა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის პროცესებზე. კონფერენციას ესწრებოდნენ ამერიკელი პოლიტიკოსები, პარლამენტის და სხვა საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლები 10-ზე მეტი ქვეყნიდან, ასევე დიპლომატები, მედიის, არასამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლები.



**25.05.2018 - ნინო გოგუაძის ვიზიტი სტრასბურგში (PACE).** 25 მაისს ნინო გოგუაძემ მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კულტურის, მეცნიერების, განათლების და მედიის კომიტეტის სხდომაში კომიტეტის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო რეზოლუციის პროექტები/ინიციატივები შემდეგ საკითხებთან



დაკავშირებით: ახალ მედია გარემოში „მედია წიგნიერების“ მნიშვნელობა; დემოკრატიულ საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის ღირებულება, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და გაძლიერება და საჯარო მომსახურების მედია მცდარი ინფორმაციისა და პროპაგანდის კონტექსტში. კომიტეტის სხდომაზე ნინო გოგუაძემ ისაუბრა ახალი ტექნოლოგიური

განვითარების პირობებში პროფესიული მედიის წინაშე მდგარ ახალ გამოწვევებზე და მედია განათლების მნიშვნელობაზე ამ პროცესში. ასევე, მან ისაუბრა ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების გამოცდილების შესწავლის მნიშვნელობაზე ამ მიმართულებით და საერთო მიგნებების გამოკვეთის საკითხებზე. ინიციატივაზე მუშაობისას მოწვეული იქნებიან დარგის ექსპერტები, რომლებიც წინასწარ მოხსენებას წარმოადგენენ კომიტეტის მორიგ სხდომაზე თბილისში, მ/წ 25 სექტემბერს. საკითხი, საბოლოოდ, რეზოლუციის სახით წარედგინება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას დასამტკიცებლად.

**18.10.2018 -20.10.2018 - ნინო გოგუაძის ვიზიტი ქ. კიშინეუში, მოლდოვა.** ვიზიტის ფარგლებში ნინო გოგუაძემ მონაწილეობა მიიღო ევროპის კონსერვატორთა და რეფორმისტთა ალიანსის სამიტში.

**22.11.2018 – 25.11.2018 - ნინო გოგუაძის ვიზიტი ქ. პორტოში, პორტუგალია.** ვიზიტის ფარგლებში ნინო გოგუაძემ მონაწილეობა მიიღო PACE-ს კულტურის კომიტეტის მუზეუმების შესარჩევი ჟიურის სხდომაში.

**01.12.2018 – 07.12.2018 - ნინო გოგუაძის ვიზიტი ქ.ვაშინგტონში, აშშ.** ვიზიტის ფარგლებში ნინო გოგუაძემ მიიღო მონაწილეობა ღონისძიებებში, რომელიც ორგანიზებული იყო IRI-ის მიერ და ითვალისწინებდა ქალთა ჩართულობას.

**08.12.2018 – 11.12.2018 - ნინო გოგუაძის ვიზიტი ქ. პარიზში, საფრანგეთი.** ვიზიტის ფარგლებში ნინო გოგუაძემ მონაწილეობა მიიღო PACE-ის საპროცედურო კომიტეტის სხდომაში.

**დიმიტრი ცქიტიშვილის ვიზიტები საზღვარგარეთ**

**22.01.2018-26.01.2018 - დიმიტრი ცქიტიშვილის ვიზიტი საფრანგეთში, ქ. სტრასბურგი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) სხდომა.** აღნიშნული სესიის ფარგლებში დიმიტრი ცქიტიშვილმა დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგში შეტანილი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: ჟურნალისტებზე თავდასხმები და მედიის თავისუფლება; კიბერ-დანაშაული და სიძულვილის ენა ინტერნეტ სივრცეში; ჰუმანიტარული სიტუაცია სირიაში; მიგრაციის პოლიტიკის რეფორმა ევროპაში; სიტუაცია ლიბანში და სხვა. გაიმართა შეხვედრები ასამბლეის გენერალურ მდივანთან, ვიცე-სავეიცოსთან და ასამბლეის პრეზიდენტთან, პედრო აგრამუნტთან. გარდა ამისა, 26 იანვარს დიმიტრი ცქიტიშვილი ზვიად კვაჭანტირაძესთან ერთად შეხვდა ჩეხ და სლოვაკ კოლეგებს და ასევე, სოფიო ქაცარავასთან ერთად - შვედეთის დელეგაციას.

**05.03.2018-10.03.2018 - დიმიტრი ცქიტიშვილის ვიზიტი აშშ-ში, ქ. ვაშინგტონი.** პროგრესულ ალიანსთან თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა არაერთი საინტერესო შეხვედრა ფილადელფიაში, ბალტიმორსა და ვაშინგტონში. დიმიტრი ცქიტიშვილი ამერიკელ სენატორ ბერნი სანდერსსაც შეხვდა და მას გაუზიარა ინფორმაცია იმ მნიშვნელოვანი პროგრესის შესახებ, რომელიც მიმდინარეობს დღეს საქართველოში. შეხვედრების დროს, ასევე არაერთხელ გაესვა ხაზი საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული თანამშრომლობის მნიშვნელობას.

**11.04.2018-15.04.2018 - დიმიტრი ცქიტიშვილის ვიზიტი ესტონეთში, ქ.ტალინი.** დიმიტრი ცქიტიშვილი პარლამენტის სხვა წევრებთან ერთად სამუშაო ვიზიტით ესტონეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები არა მხოლოდ საქართველო-ესტონეთის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფთან, არამედ ესტონეთის პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტების თავმჯდომარეებთანაც. გარდა ამისა, საპარლამენტო დელეგაცია ესტონეთში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებსაც შეხვდა, რომლებმაც ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე.

**22.04.2018 - დიმიტრი ცქიტიშვილის ვიზიტი გერმანიაში, ქ. ფრანკფურტი.** 22 აპრილს ქალაქ ფრანკფურტში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონგრესი გაიმართა. პარტიის მოწვევით საქართველოდან კონგრესს ესწრებოდნენ დიმიტრი ცქიტიშვილი და გოგა გულორდავა. კონგრესზე შეირჩა პარტიის ახალი ხელმძღვანელობა და გაიმართა დებატები სოციალ-დემოკრატიის მომავლის შესახებ როგორც ევროკავშირში ასევე მის საზღვრებს გარეთ. აღნიშნულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო დიმიტრი ცქიტიშვილმაც.

**23.04.2018-24.04.2018 - დიმიტრი ცქიტიშვილის ვიზიტი საფრანგეთში, ქ. სტრასბურგი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) სხდომა.** აღნიშნული სესიის ფარგლებში

დიმიტრი ცქიტიშვილმა დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგში შეტანილი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: თურქეთის რესპუბლიკის დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება; ადამიანის უფლებების მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიაში; მზარდი საშემოსავლო უთანასწორობა; 25 წელი წამების აკრძალვის ევროპული კომიტეტის შექმნიდან; ინტერპოლის სისტემის ბოროტად გამოყენება და სხვა. დიმიტრი ცქიტიშვილმა დელეგაციის წევრებთან ერთად შეხვედრები გამართა ბოსნია და ჰერცეგოვინის, ბელგიის, ლიტვისა და დანიის სამეფოს დელეგაციების წარმომადგენლებთან.

**25.04.2018 – 29.04.2018 - დიმიტრი ცქიტიშვილის ვიზიტი ბელგიაში, ქ. ბრიუსელი, საქართველო ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მე-6 სხდომა.** დიმიტრი ცქიტიშვილმა როგორც დელეგაციის მუდმივმოქმედმა წევრმა აპრილში გამართულ კომიტეტის სხდომაზე მონაწილეობა მიიღო. კომიტეტმა ამ სხდომაზე განიხილა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები, დემოკრატიული რეფორმები და საკონსტიტუციო ცვლილებები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმები, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა, ასოცირების ხელშეკრულებისა და თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების განხორციელება და ღია მმართველობის დანერგვა სახელმწიფო ინსტიტუტებში.

**11.06.2018 – 14.06.2018 - დიმიტრი ცქიტიშვილის ვიზიტი საფრანგეთში, ქ. სტრასბურგი.** ევროპის პარლამენტში მიმდინარეობდა "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები რუსეთის აგრესიიდან 10 წლის თავზე" რეზოლუციის განხილვა და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ დებატები, რომელზეც მომხსენებელი ფედერიკა მოგერინი გახლდათ. ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტია შეთანხმდა საქართველოს მხარდაჭერაზე და რუსეთის აგრესიული ქმედებების კრიტიკაზე. ვიზიტის ფარგლებში დიმიტრი ცქიტიშვილმა არაერთი შეხვედრა გამართა ევროკავშირის სხვადასხვა წარმომადგენლებთან აღნიშნულ რეზოლუციასთან დაკავშირებით.

**25.06.2018 – 27.06.2018 - დიმიტრი ცქიტიშვილის ვიზიტი ბელგიაში, ქ. ბრიუსელი, საქართველო ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მე-7 სხდომა.** აღნიშნული სხდომის ფარგლებში დიმიტრი ცქიტიშვილმა, როგორც დელეგაციის მუდმივმოქმედმა წევრმა მონაწილეობა მიიღო ენერგეტიკული უსაფრთხოების კომიტეტის სხდომაში. კომიტეტმა იმსჯელა აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში ენერგოეფექტურობისა და ენერგეტიკული მდგრადობის შესახებ, საუბარი შეეხო რეგიონის ენერგო პროექტებს, განახლებადი ენერჯების განვითარებასა და ენერგოეფექტურობის დანერგვის გზებს. კომიტეტმა დაამტკიცა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც შევიდა საქართველოს დელეგაციის მიერ დაყენებული ცვლილებები და დამატებები.

**23.09.2018 – 28.09.2018 - დიმიტრი ცქიტიშვილის ვიზიტი ქ.ბრიუსელში, ბელგია.** აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, დიმიტრი ცქიტიშვილმა მონაწილეობა მიიღო ევროპარლამენტში საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების შესრულების მოსმენაში.

**11.10.2018 – 14.10.2018 - დიმიტრი ცქიტიშვილის ვიზიტი ქ.უაგადუგუში, ბურკინა ფასო.** ვიზიტის ფარგლებში დიმიტრი ცქიტიშვილმა მონაწილეობა მიიღო პროგრესული ალიანსის საერთაშორისო კონფერენციაში „მიგრაცია და სოციალური სამართლიანობა“.

06.12.2018 – 09.12.2018 - დიმიტრი ცქიტიშვილის ვიზიტი ქ. ლისაბონში, პორტუგალია. ვიზიტის ფარგლებში, დიმიტრი ცქიტიშვილმა მონაწილეობა მიიღო ევროპული სოციალისტების პარტიის (PES) კონგრესში.

## VI: კომიტეტის მასპინძლობით პარტნიორი ქვეყნების დელეგაციების ვიზიტები საქართველოში

- 1) *03.05.2018 – 05.05.2018 - ბულგარეთის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი საქართველოში.* საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის სოფიო ქაცარავას



მოწვევით საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა ბულგარეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ჯემა გროჟდანოვა და რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრები და მეგობრობის ჯგუფის წარმომადგენლები.

დელეგაციამ შეხვედრა გამართა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან სოფიო ქაცარავასთან და კომიტეტის წევრებთან, რომელზეც ორ ქვეყანას შორის საპარლამენტო თანამშრომლობის საკითხები და კომიტეტთაშორისი კავშირები განიხილებოდა. დელეგაციამ ასევე, შეხვედრები გამართა პარლამენტის თავმჯდომარესთან, თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარესთან, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან. შეხვედრებზე განიხილებოდა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების



დღის წესრიგში არსებული საკითხები, საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებები, ევროკავშირისა და ნატო-ს ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხები. საქართველოს და ბულგარეთის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების თავმჯდომარეებმა სოფიო ქაცარავამ და ჯემა გროჟდანოვამ ხელი მოაწერეს კომიტეტთა შორის ურთიერთთანამშრომლობის ერთობლივ განცხადებას, რომელიც წარმოადგენს შეთანხმებას, რომ მხარეები გააგრძელებენ მუშაობას საქართველოს ევროკავშირის და ნატო-ს მომავალი წევრობისთვის, რაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანია როგორც რეგიონისთვის, ისე ევროპის ქვეყნებისთვის.

2) **25.05.2018 – 31.05.2018 - უორდროპის სტრატეგიული დიალოგის ფარგლებში დიდი ბრიტანეთის მეგობრობის ჯგუფის დელეგაციის ვიზიტი.** 25-31 მაისს სოფიო ქაყარავას



მოწვევით დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის დელეგაცია, „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ საპარლამენტო განზომილების ფარგლებში საქართველოს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა სოფიო ქაყარავასთან და კომიტეტის წევრებთან, როგორც

საკომიტეტო, ასევე

მეგობრობის ჯგუფის ფორმატებში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, საქართველოს პრემიერ მინისტრთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან. შეხვედრებზე განსახილველ საკითხებს წარმოადგენდა საქართველოში მიმდინარე და



გატარებული რეფორმები, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობები, საპარლამენტო კავშირების გაძლიერება და ამ პროცესში კომიტეტებსა და მეგობრობის ჯგუფებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და ბრიტანეთის მხარდაჭერა კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის პროცესში, კავშირების გაძლიერება განათლების, კულტურის, ეკონომიკის, ვაჭრობის, თავდაცვის და ტურიზმის მიმართულებით, და სხვა ორმხრივ პოლიტიკურ დღის წესრიგში არსებული საკითხები. ვიზიტის ფარგლებში მიღებულ იქნა ერთობლივი კომუნიკე, რომელიც მოიცავს ორმხრივი მჭიდრო თანამშრომლობის დადასტურებას, დიდი ბრიტანეთის მხრიდან საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ მხარდაჭერას და ადასტურებს ერთობლივი ძალისხმევის გამოხატვას საერთო ინტერესებისა და ღირებულებების დაცვის მიმართულებით. ბრიტანეთის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისა და პირველი რესპუბლიკის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებებში და მიღებაში.

ასევე, EUMM-ის თანხლებით მოინახულა საოკუპაციო ზოლი და ზუგდიდში ესტუმრა ტექნო პარკს. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციამ გამართა შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, ასევე “Chevening”-ის კურსდამთავრებულებთან თბილისის ტექნო პარკში, სადაც დისკუსია შეეხებოდა პარლამენტის როლს ორმხრივი კავშირების გამყარებისთვის.



დელეგაციის ვიზიტისას ბრიტანეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯონათან ჯანოლიმ ქუთაისში პლენარულ სხდომაზე სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის წევრებს და ხაზი გაუსვა იმ ღირებულებებს რომელთაც საქართველო და დიდი ბრიტანეთი იზიარებენ: დემოკრატია, თავისუფალი საზოგადოება, გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის უფლებები, საკუთრების უფლება, კანონის უზენაესობა და



სამართალი. ვიზიტის ბოლოს, დიდი ბრიტანეთის დელეგაციამ სოფიო ქაცარავასთან ერთად შეხვედრა გამართა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში სტუდენტებთან და ნიუპორტ-ქუთაისის საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენლებთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ დიდი ბრიტანეთის ელჩი ჯასტინ მაკკენზი სმიტი, საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში თამარ ბერუჩაშვილი, ქუთაისის მერი და აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი.

## VII: სტრატეგიული კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა

- 1) **30.01.2018** - სოფიო ქაცარავას შეხვედრა სტრატეგიული კომუნიკაციის ექსპერტთან დიდი ბრიტანეთიდან სიუზან მარტინსთან. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს სტრატეგიული



კომუნიკაციის მნიშვნელობა და საქართველოში მისი განხორციელების საკითხები, საპარლამენტო ზედამხედველობის ფუნქციის გაძლიერება და ამ პროცესში გატარებული ღონისძიებები და სამომავლო დღის წესრიგი. ასევე, ყურადღება გამახვილდა სექტემბერში, სოფიო ქაცარავას ინიციატივით პარლამენტში დაგეგმილ კონფერენციაზე, რაც

სტრატეგიული კომუნიკაციის მნიშვნელობას და ამ გზით დეზინფორმაციასთან ბრძოლას მიემდგინება.

- 2) **13.01.2018** - სოფიო ქაცარავას მონაწილეობა ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის ფონდის მიერ გამართულ დისკუსიაში „საქართველოს ევროპული პერსპექტივა“.



დისკუსიაში მონაწილეობას იღებდნენ ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. სოფიო ქაცარავამ ისაუბრა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობაზე და

სამომავლო პერსპექტივებზე, გატარებულ რეფორმებზე და სამომავლო გეგმებზე;

- 3) **05.03.2018** - სოფიო ქაცარავას მონაწილეობა ნატო-ს წლიური ეროვნული პროგრამის ANP-



ის 2018 წლის პრიორიტეტების განხილვაში. სოფიო ქაცარავამ მონაწილეობა მიიღო ნატოს წლიური ეროვნული პროგრამის 2018 წლის პრიორიტეტების განხილვაში. ღონისძიების დროს სოფიო ქაცარავამ ისაუბრა ნატო-საქართველოს ურთიერთობების დინამიკაზე, პარლამენტის როლზე ANP-ის პრიორიტეტების შემუშავებაში, შეფასებასა და

განხორციელებაში, ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე გატარებულ რეფორმებზე და 2018 წლის პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

- 4) **06.03.2018** - სოფიო ქაცარავას და საქართველოში, ბულგარეთის საგანგებო და



სრულფლებიან ელჩის დესისლავა ივანოვას შეხვედრა პარლამენტის სტაჟიორებთან და სტუდენტებთან. შეხვედრაზე მომხსენებლებმა ისაუბრეს საქართველო-ბულგარეთის ურთიერთობებზე ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში, ბულგარეთის საგარეო პოლიტიკაზე და

ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის ფარგლებში არსებულ პრიორიტეტებზე, ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე და საქართველოს საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგზე. შეხვედრის დასასრული წარმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

- 5) **26.03.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა უნივერსიტეტის LSE სტუდენტებთან.** შეხვედრაზე სოფიო ქაცარავა ესაუბრა



სტუდენტებს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, საკონსტიტუციო ცვლილებებზე, უსაფრთხოების და სტაბილურობის საკითხებზე, ევროკავშირისა და ნატოში ინტეგრაციაზე, საქართველო-ბრიტანეთის სტრატეგიულ ურთიერთობებზე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე და საერთაშორისო ჩართულობაზე კონფლიქტის მოგვარების კუთხით.

- 6) **03.04.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბის წევრებთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან.** შეხვედრაზე სოფიო ქაცარავამ



სტუდენტებთან ერთად განიხილა რეზოლუციის საკითხები რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა და „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ შესახებ, სახელმწიფოს

სამშვიდობო პოლიტიკა და ამ პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის საკითხი.

- 7) **05.04.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა ისნის რაიონის ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან.** შეხვედრაზე სოფიო ქაცარავამ



ახალგაზრდებს გააცნო ინფორმაცია კომიტეტის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის შესახებ, კომიტეტის დღის წესრიგი, საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკა ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით.

- 8) **11.04.2018 - სოფიო ქაცარავას და დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩოს დესპანის კახი**



**ქენჭაძის შეხვედრა პარლამენტის სტაჟიორებთან.** შეხვედრაზე განხილულ იყო საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვა ისტორიულ კონტექსტში, საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და საქართველო-ბრიტანეთის ურთიერთობების სტრატეგიული მიმართულებები.

- 9) **23.04.2018** - სოფიო ქაცარავას მონაწილეობა **Rose Roth** ის სემინარში. 23-24 აპრილს სოფიო



ქაცარავამ მონაწილეობა მიიღო Rose Roth -ის სემინარში, რომელიც ჩატარდა ქ. ბათუმში. სემინარის ფარგლებში, სოფიო ქაცარავამ მოდერატორობა გაუწია პანელს „რუსეთის ფაქტორი“ და მონაწილეობა მიიღო ნატო-საქართველოს საპარლამენტთაშორისო საბჭოს (GNIC) შეხვედრაში, სადაც მონაწილეებმა განიხილეს

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი და ნატო-ს ბრიუსელის სამიტი.

- 10) **26.04.2018** - ნატო-ს კვირეულის ფარგლებში, სოფიო ქაცარავას შეხვედრა **ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მოქმედი სკოლების მასწავლებლებთან**. ნატო-ს კვირეულის



ფარგლებში, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით სოფიო ქაცარავა შეხვდა ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მოქმედი სკოლების მასწავლებლებს. შეხვედრისას სოფიო ქაცარავამ ისაუბრა ნატო-ს მნიშვნელობის შესახებ საქართველოსთვის, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში მუშაობაზე, საქართველოს კონტრიბუციაზე საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, უსაფრთხოების, სტაბილურობის საკითხებზე და ამ საკითხზე მოსწავლეების სწორედ ინფორმირების შესახებ. საუბრისას სოფიო ქაცარავამ ყურადღება გაამახვილა ქვეყანის წინაშე მდგარ გამოწვევებზე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და სამშვიდობო პოლიტიკაზე.

- 11) **27.04.2018** - ევროპის დღეების ფარგლებში, სოფიო ქაცარავას და იტალიის, ლიტვის, რუმინეთის და საფრანგეთის ელჩების შეხვედრა გორის უნივერსიტეტის სტუდენტებთან.



27 აპრილს ევროპის დღეების ფარგლებში, სოფიო ქაცარავა და იტალიის, ლიტვის, რუმინეთის და საფრანგეთის ელჩები შეხვდნენ გორის უნივერსიტეტის სტუდენტებს. სოფიო ქაცარავამ სტუდენტებს გააცნო ინფორმაცია საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ და ისაუბრა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსზე, მის

ევროპულ პერსპექტივაზე და ამ გზაზე დემოკრატიზაციის პროცესზე, რაც ევროკავშირში გაწევრიანების რეალურ პერსპექტივას ქმნის. სოფიო ქაცარავამ ხაზი გაუსვა ვიზალიბერალიზაციას და ყველა იმ სიკეთეს, რომელიც თან ახლავს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს.

- 12) **30.04.2018** - სოფიო ქაცარავამ მონაწილეობა **ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმში**. 30 აპრილს სოფიო ქაცარავამ მონაწილეობა მიიღო ნატო-საქართველოს



სახალხო დიპლომატიის ფორუმის, მეორე სესიაში, რომელიც ახალ საინფორმაციო გარემოში სახალხო დიპლომატიის როლსა და მნიშვნელობას დაეთმო. თავის გამოსვლაში, სოფიო ქაცარავამ განიხილა სახალხო დიპლომატიის და სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხები, ამ კუთხით არსებული

ვითარება და გამოწვევები როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში და ამ გამოწვევების გადაჭრის გზები.

- 13) **14.04.2018** - სოფიო ქაცარავას მონაწილეობა NDI-ის ყოველწლიურ კონფერენციაში სტრატეგიულ კომუნიკაციებთან და დეზინფორმაციასთან დაკავშირებით.



ქაცარავამ მონაწილეობა მიიღო NDI-ის ყოველწლიურ კონფერენციაში, რომელიც დაეთმო სტრატეგიულ კომუნიკაციებსა და დეზინფორმაციას. თავის გამოსვლაში მან ისაუბრა სტრატეგიული კომუნიკაციების მნიშვნელობაზე რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლის კონტექსტში, ჰიბრიდულ საფრთხეებზე და პარლამენტის როლზე

სტრატეგიული კომუნიკაციების სახედამხედველო საქმიანობის განხორციელებაში.

- 14) **17.05.2018** - სოფიო ქაცარავას შეხვედრა სტუდენტებთან ნარკოპოლიტიკის რეფორმასთან დაკავშირებით.



სოფიო ქაცარავას, აკაკი ზოიძის და კახა კუჭავამ გამართეს შეხვედრა სტუდენტებთან, სადაც მიაწოდეს მათ ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე ნარკოპოლიტიკის შესახებ. შეხვედრაზე განიხილეს ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებული რეფორმები და შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებზე. შეხვედრის

ბოლოს გაიმართა დისკუსია.

- 15) **09.06.2018** - სოფიო ქაცარავას შეხვედრა ვესტმინსტერის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის სტუდენტებთან.



სოფიო ქაცარავამ ვესტმინსტერის უნივერსიტეტის სტუდენტებს უმასპინძლა. შეხვედრისას, სოფიო ქაცარავა სტუდენტებს ესაუბრა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე და განათლების როლზე ქვეყნის განვითარებაში. შეხვედრის

ბოლოს გაიმართა დისკუსია საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე.

- 16) **14.06.2018-15.06.2018** - სოფიო ქაცარავას მონაწილეობა ყოველწლიურ კონფერენციაში „საქართველოს ევროპული გზა“.



14-15 ივნისს სოფიო ქაცარავამ მონაწილეობა მიიღო ყოველწლიურ კონფერენციაში „საქართველოს ევროპული გზა“. სოფიო ქაცარავამ თავის გამოსვლაში ისაუბრა საქართველოს ევროპაში ინტეგრაციის საკითხებზე და მიმოიხილა ამ მხრივ ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები. ასევე, მან ხაზი გაუსვა სტრატეგიული



კომუნიკაციების მნიშვნელობას და როლს ქვეყნის ევროპულ გზაზე. კონფერენციის ფარგლებში, სოფიო ქაცარავამ გამართა შეხვედრები ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან იური სტერკთან, რუმინეთის პარლამენტის საგარეო პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარესთან როზალია ბიუროსთან და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ წარმომადგენელთან აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის

საკითხებში ანდრეას პეშკესთან. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს წარმატებებზე ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე და განიხილეს თანამშრომლობის საკითხები ისეთი მიმართულებით, როგორც არის უსაფრთხოება, ტერორიზმთან ბრძოლა, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხები.

17) **24.07.2018** - *სოფიო ქაცარავას შეხვედრა ახალგაზრდებთან ტექნოპარკში*. შეხვედრაზე



სოფიო ქაცარავამ ახალგაზრდებს ესაუბრა დემოკრატიის მნიშვნელობაზე საზოგადოების განვითარებაში, საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ დემოკრატიულ რეფორმებზე, საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე და ახალგაზრდობის როლზე ქვეყნის სწრაფ განვითარებაში. შეხვედრის ბოლოს გაიმართა

დისკუსია საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე.

18) **28.07.2018** - *სოფიო ქაცარავას შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან*. UNDP-ის



ლონისძიების ფარგლებში, სოფიო ქაცარავამ გამართა შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე სოფიო ქაცარავამ ისაუბრა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, სტრატეგიული კომუნიკაციის როლზე საგარეო პოლიტიკური ამოცანების მიღწევაში, ქვეყანაში მიმდინარე

დემოკრატიულ პროცესებზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

19) **06.07.2018** - *ომის 10 წლისთავთან დაკავშირებით სოფიო ქაცარავას სტუმრობა საოკუპაციო ხაზთან*. ომის 10 წლისთავთან დაკავშირებით სოფიო



ქაცარავა მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად ესტუმრა საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებს. ადგილზე იგი გაეცნო ინფრასტრუქტურულ პროექტებს და იქ მცხოვრებ მოსახლეობას ესაუბრა საქართველოს ყველა იმ ახალ შესაძლებლობაზე, რასაც სახელმწიფო ქმნის სამშვიდობო პოლიტიკის

ფარგლებში.

20) **24.09.2018** - საქართველოს პარლამენტში გაიმართა სტრატეგიული კომუნიკაციების ფორუმი,



რომელიც ჩატარდა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ორგანიზებით. ფორუმის ფინანსური მხარდაჭერები იყვნენ საქართველოში აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის საელჩოები, ასევე, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი. ფორუმზე განხილულ იქნა ეფექტური, მდგრადი და პროაქტიული ეროვნული

სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უნდა განხორციელდეს მთავრობის ერთიანი მიდგომითა და სამთავრობო და არასამთავრობო აქტორებს შორის თანამშრომლობის გზით. პარლამენტის ფართო მანდატიდან გამომდინარე - რომელიც ითვალისწინებს



საკანონმდებლო საქმიანობას, ქვეყნის ძირითადი საშინაო და საგარეო პოლიტიკური მიმართულებების განსაზღვრას, საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელებას, ქვეყნის დღის წესრიგში მდგარი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას და მოქალაქეებთან პირდაპირ ჩართულობას - **ფორუმის განხილვის მთავარ საგანს წარმოადგენდა პარლამენტის როლი მრავალმხრივ სტრატეგიულ კომუნიკაციებში.** ფორუმში მონაწილეობა მიიღეს - როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებმა, საერთაშორისო ექსპერტებმა, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, მედიისა და საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებმა.

- 21) **02.10.2018 - საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის და განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის ერთობლივი ღონისძიება.** ღონისძიების ფაგლებში გაიმართა ევროკომისიის მხარდაჭერით ჩატარებული კვლევის „ჰორიზონტი 2020“ პრეზენტაცია, რომელშიც აისახა რეკომენდაციები მეცნიერებისა და ინოვაციების სისტემის მოდერნიზაციისთვის.



- 22) **22.10.2018 - საგარეო ურთიერთობათა და ევროპასთან ინტეგრაციის ერთობლივი შეხვედრა** ავსტრიის საგანგებლო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში არად ბენკოსთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა ევროკავშირთან გაღრმავება და წევრ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების გაძლიერება, განსაკუთრებით ეკონომიკური და სავაჭრო მიმართულებით, საქართველოს როლი ევროკავშირის უსაფრთხოების არქიტექტურაში და ამ კუთხით საქართველოს სამომავლო გეგმები. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და პარლამენტის სტაჟიორები. შეხვედრა ბერტა ფონ ზუტნერისადმი მიძღვნილი გამოფენის ფონზე მიმდინარეობდა.

- 23) **26.10.2018 - სოფიო ქაცარავას შეხვედრა ფრანკლინის უნივერსიტეტის სტუდენტებთან.** შეხვედრაზე სოფიო ქაცარავამ სტუდენტებს გააცნო საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, კომიტეტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ასევე, საუბარი შეეხო საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს, უსაფრთხოების საკითხებს და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს. შეხვედრის მიწურულს გაიმართა დისკუსია და კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა ღონისძიება.



- 24) **26.11.2018 - საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია.** პრეზენტაციას ესწრებოდა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, დიპლომატები და ექსპერტები. პრეზენტაციაზე სოფიო ქაცარავამ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ყველა ის პრიორიტეტი, რომელიც გააჩნია საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის და ყველა ის ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც გეგმავს კომიტეტი მოდემვნო 3 წლის განმავლობაში, რომ მიაღწიოს სტრატეგიაში ასახულ ამოცანებს.



- 25) **18.12.2018** - სოფიო ქაცარავას მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენცია „კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დარღვევების პოლიტიკური და სამართლებრივი შედეგები“. კონფერენციის ფარგლებში სოფიო ქაცარავამ



მონაწილეობა მიიღო პანელში „10 წელი ომის შემდეგ, ადამიანის უფლებები და საერთაშორისო პარტნიორების როლი“, სადაც ისაუბრა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევებზე, გიგა ოთხოზორიას, არჩილ ტატუნაშვილის და დავით ბაშარულის დაღუპვის ფაქტებზე, ასევე, საერთაშორისო

საზოგადოების როლზე კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში. პანელის მუშაობაში ასევე მონაწილეობდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე - ლაშა დარსალია, საქართველოში ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელის მოადგილე - კარლო ნატალე და გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი მუნხტუია ალტანგერელი.

- 26) **19.12.2018** - სოფიო ქაცარავამ მონაწილეობა მიიღო ელჩების ყოველწლიურ



**კონფერენციაში - ამბასადორიალში.** სიტყვით გამოსვლისას, სოფიო ქაცარავამ ისაუბრა პარლამენტის ჩართულობის მნიშვნელობაზე საგარეო პოლიტიკის განხორციელების პროცესში და თანამშრომლობის ახალ მიმართულებებზე. ასევე, გააცნო ელჩებს კომიტეტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და ისაუბრა სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ელჩების და დიპლომატიური წარმომადგენლობების

ჩართულობის მნიშვნელობაზე.

- 27) **24.11.2018** - სოფიო ქაცარავას შეხვედრა კანტის აკადემიის მსმენელებთან. შეხვედრაზე



სოფიო ქაცარავამ მსმენელებს გააცნო საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, კომიტეტის სამოქმედო გეგმა და სტრატეგია. ასევე, სოფიო ქაცარავამ ისაუბრა ახალგაზრდების როლზე ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. შეხვედრის დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია და ღონისძიება წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, სადაც ძირითად საკითხებს წარმოადგენდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და ევროკავშირისა

და ნატოში ინტეგრაცია.

### IX: კომიტეტის საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში კომიტეტი ახორციელებდა საინფორმაციო-ანალიტიკურ საქმიანობას საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. 2018 წლის განმავლობაში კომიტეტში მომზადდა და გადაეგზავნა შესაბამის პარლამენტარებს/უწყებებს 36 საინფორმაციო-ანალიტიკური ბარათი (დაახლოებით 250 გვერდი);